

ეკონომისტი

EKONOMISTI

საერთაშორისო სამუშაო - ანალიზური ჟურნალი
International Scientific - Analytical Journal

4

2 0 0 9

UDC33
g-49

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

ԱՅԹԵՐՁԱԾՑՈՒՅԹ

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი გამოდის 2009 წლის იანვრიდან

აგვისტო სექტემბერი ოქტომბერი

4

2009

მთავარი რედაქტორი რამაზ აბესაძე

სამეცნიერო-სარეზაქციო კოლეგია

საქართველოს მთხოვნებათა მოწვევის აკადემიის მეცნ-კოსმოსურ გამზღვები:

ԱՅԵՐԾՈՂԸ ՄԱՅԻՆԸ: ԱՇԽԱՏԱԿԱՐԱ (ԱՇԽԱՏԱԿԱՐԱ), ՀԱՅՈՒ ՔՇԱՏԱԿԱՐԱ (ԱՇԽ), ԱԿԵՐԱԿԱ ԹԱՄՍԱԿՈՒՑԱԸ (ՀԱՅՈՒՔ), ՎՃԱՇԽԱՐ ԹԵՇՈՒՐԱԸ (ՎՃԱՇԽԱՐ), ԹԻԵՎՈՒ ՌԵՎԵՆԱԿՈՒՑԱԸ (ՎՃԽ), ՍԼԱՎՈՎՈՒ ՎԱՐՈՎՈՒ (ՎՐՈՎՈՎՈՒ), ՀՈԹՈՒ ՎՐՈՎՈՎՈՒ (ՎՐՈՎՈՎՈՒ), ԱՇԽԱՏԱԿԱՐԱ (ՎՐՈՎՈՎՈՒ)։

თბილისი

Paata Gugushvili Institute of Economics

EKONOMISTI

International Scientific-analytical Journal
Published from January 2009

August
September
October **4** 2009

Editor-in-chief

Ramaz Abesadze

SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD

CORRESPONDING MEMBERS OF THE NATIONAL ACADEMY OF SCIENCES OF GEORGIA:

Leo Chikava, Vladiimer Papava, Avtandil Silagadze

DOCTORS OF ECONOMIC SCIENCES:

Klementi Achelashvili, Iuri Ananiashvili, Roseta Asatiani, Temur Beridze, Giorgi Berulava, Vakhtang Burduli, Nodar Chitanava, Tina Chkheidze, Mikhail Jibuti, Murman Kvaratskhelia, Alfred Kuratashvili, Jakob Meskhia, Elguja Mekvabishvili, Giorgi Papava, Ushangi Samadashvili, Roland Sarchimelia, Temur Shengelia, Avtandil Sulaberidze, Mikhail Tokmazishvili.

ACADEMIC DOCTORS:

Nanuli Arevaladze, Nana Bibilashvili, Lina Datunashvili, Merab Gvelesiani, Revaz Javakhishvili, Nazira Kakulia, Eteri Kakulia, Tea Lazarashvili (deputy editor-in-chief), Iza Natelauri, Nodar Khaduri, Mamuka Khuskivadze (deputy editor-in-chief), Lia Totladze (executive secretary).

FOREIGN MEMBERS:

Eldar Ismailov (Azerbaijan), David Kurtanidze (USA), Antanas Mackstitus (Lithuania), Vladimir Menshikov (Latvia), Slavomir Patritski (Poland), Mikhail Roketishvili (USA), Dmitri Sorokin (Russia), Andrei Herman (Poland)

The journal follows the principles of free press. The views of editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information.

Tbilisi

ს ა რ ჩ გ ვ 0

პოსტკომუნისტ ური საქართველოს ეკონომიკა

გლადიომერ პაპავა – თანამედროვე ეკონომიკური კრიზისის თავისებურებაზე	5
ბანკერთველობი	
რობერტ ასათიანი – საქართველოს საბანკო სისტემა გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში	10
ნოდარ ხადური – ომის შემდგომი საქართველოს ეკონომიკური საფრთხეები	15

ეკონომიკური თეორია

Альфред Курамашвили – Научное творчество – необходимая теоретическая основа предотвращения мировых экономических кризисов	22
Тамила Арнания-Кепуладзе – Теория индивидуальных предпочтений: гетеродоксия против ортодоксии	26

საბანკო სამშენებლო

გიგი ლევანბჯავა – საბანკო სესხები: ტენდენციები და რეგულირება	33
--	----

ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის ეკონომიკა

თინა ჩხეიძე, ქვეყნას ქველაძე – დასაქმების დონის ამადლებაზე ეკოლოგიური ფაქტორის გავლენის ზოგიერთი ასპექტი საქართველოში	42
---	----

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება

ნუნუ ქისტაური, მედეა მელაშვილი – სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა საქართველოში	47
--	----

აბრარ ჭლი ჭარბობა, სასურსათო უსაფრთხოება

თემურ ქავთარაძე – სურსათის წარმოება და სასურსათო უსაფრთხოება მათი ქაბანაძე – საქართველოს აგრარული სექტორი კრიზისის პირობებში	52
	56

ადამიანისეული პაპიტალი

George Berulava, Tea vakhania – The Competitiveness of Human Capital in Georgia	60
L. Bobrivnyk, H. Bobrovnyk – People Sanitation – an Important factor in Getting Over the World Economic Crisis	65

მიზანმიზნები დონისშირება	78
--------------------------	----

ნსობება	80
---------	----

06 ვორმაცია	81
-------------	----

C O N T E N T S

ECONOMY OF POSTCOMMUNIST GEORGIA

<i>Vladimer papava</i> – Features of the Modern Economic Crisis in Georgia	5
<i>Rozeta Asatiani</i> – Banking System of Georgia Under Financial Crisis	10
<i>Nodar Khaduri</i> – Economic Risks of Postwar Georgia	15

ECONOMIC THEORY

<i>Alfred Kuratashvili</i> – Scientific Creativity – Essential Theoretical Basis of Prevention of World Economic Crises	22
<i>Tamila Armania-Kepuladze</i> – The Individual Preferences Theory: Heterodox Versus Orthodox	26

BANKING

<i>Givi Lemonjava</i> – Banking Loans: Tendency and Regulation	33
--	----

ECONOMY OF NATURE USE AND ENVIRONMENT PROTECTION

<i>Tina Chkheidze, Ketevan Kveladze</i> – Some Aspects of Influence of Ecological Factor on the Increase of Employment Level in Georgia	42
---	----

STATE REGULATION OF ECONOMY

<i>Nunu Kistauri, Medea Melashvili</i> – The State Innovation Policy in Georgia	47
---	----

AGRARIAN PRODUCTION, FOOD SAFETY

<i>Tengiz Kavtaradze</i> – Production of Commodities and Food Safety	52
<i>Maia Kapanadze</i> – Agricultural Sector of Georgia Under the Crisis	56

HUMAN CAPITAL

<i>George Berulava, Tea vakhania</i> – The Competitiveness of Human Capital in Georgia	60
<i>L. Bobrivnyk, H. Bobrovnyk</i> – People Sanitation – an Important Factor in Getting Over the World Economic Crisis	65

SIGNIFICANT MEASURE	78
----------------------------	----

MEMORY	80
---------------	----

INFORMATION	81
--------------------	----

პრეტარმუნისტ შრი საქართველოს ეკონომიკა

გლობალიზაცია აპავია

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი, ააატა გეგუშვილის ეკონომი-
კის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

თანამედროვე ეკონომიკური პრიზის თავისებულებანი საქართველოში

ჯერ კიდევ 2008 წლის გაზაფხულზე ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩასახული ფინანსური კრიზისის საქართველოზე ნეგატიური გავლენის შესაძლებლობა, მისი ფინანსური ბაზრის განუვითარებლობისა და შედარებითი იზოლირებულობის გამო, არ განიხილებოდა როგორც გარდაუვალი, თუმცა, ამასთან, იკვეთებოდა ზოგიერთი სირთულე, რომელმაც საქართველოს ეკონომიკაში 2008 წელსაც იჩინა თავი [1].

2008 წლის აგვისტოს რუსეთთან ომის (მაგალითად, [2]) შემდეგ საქართველოს ეკონომიკაზე უარყოფითი ზეგავლენა იქნია არა მარტო თავად ამ ომმა, არამედ გლობალური ფინანსური კრიზისის დაწყებამაც, რამაც ქვეყნის წინაშე თვისებრივად ახალი ამოცანები დააყენა [3 – 7].

უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წლის კრებსით ეკონომიკურ მაჩვენებლებში ერთდროულად აისახება გლობალური ფინანსური კრიზისის გავლენა და საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო აგრძელების შედეგები.

საქართველოში ეკონომიკური სიტუაციის დასახასიათებლად უნდა მიგმაროთ როგორიცაა სტატისტიკური ინფორმაციას, რომელიც, სამწუხაროდ, ყოველთვის არ ასახავს რეალურ სინამდვილეს: ვარდების რევოლუციის შემდეგ სტატისტიკის დეპარტამენტი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შემადგენლობაში შეიყვანეს (რაც აშკარად ინტერესთა კონფლიქტს წარმოადგენს), რის შედეგადაც მთავრობა ძალიან ხშირად მიმართავს პოლიტიკური მიზნებისათვის სტატისტიკური მონაცემებით მანიპულირებას [8, გვ. 27; 9, გვ. 11].

როგორიცაა დური სტატისტიკის თანახმად, 2008 წელს საქართველოში ეკონომიკის ზრდამ მხოლოდ 2,1% შეადგინა (2005 წელს 9,6% შეადგენდა, 2006 წელს – 9,4%, 2007 წელს – 12,3%) [10], მაშინ, როცა წლიური ინფლაცია იყო 5,5% [11]. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურის ნაკლს წარმოადგენს ის, რომ ეკონომიკის ყველაზე დიდი სეგმენტი სახელმწიფო აპარატზე მოდის და მთლიანი შიდა პროდუქტის 17% შეადგენს [12, გვ. 151-152].

2008 წელს შემცირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიც: თუ 2007 წელს, როგორიცაა სტატისტიკის თანახმად, ეს ინვესტიციები 2 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა, 2008 წელს მათი მდებარეობა 1,6 მილიარდ აშშ დოლარზე ნაკლები იყო [13]. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირების ეს ტენდენცია 2009 წელსაც შენარჩუნდა [14].

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ მას ადგილობრივი საფუძველიც აქვს, რაც განპირობებულია ეკონომიკურ პოლიტიკაში პისტორევოლუციური მთავრობის მიერ დაშვებული შეცდომებით [8, 9, 15]. არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ სხვა მიზეზების აღნიშვნაც, რომლებმაც უშუალოდ შეუწყო ხელი საქართველოში ეკონომიკური კრიზისის დაწყებას [16]:

1. საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაკადი კონცენტრირებული იყო პრივატიზაციასა და უძრავი ქონების შეძენაში, რამაც აშკარა დისტანცია გამოიწვია, როცა ფინანსური რე-

სურსების ნაკადის ზრდის ტემპი ქვეყანაში საგრძნობლად აღმატებოდა ეკონომიკის რეალური სექტორის ზრდის ტემპს;

2. მთავრობის მხრიდან „წაყრუბის“ პირობებში სამშენებლო ბიზნესში „ფინანსური პირამიდები“ გაჩნდა;
3. ბანკები თავიათ საკრედიტო რესურსებს ძირითადად ევროპის ფინანსურ ბაზებზე შედარებით იაფი რესურსების ხარჯზე ავსებდნენ, ხოლო ეს კრედიტები უმთავრესად მშენებლობისა და იმ სამომხმარებლო საყოფაცხოვრებო საქონლის შექმნის მიზნით გაიცემოდა, რომელიც მთლიანად იმპორტირებულია საქართველოში. ამრიგად, იმპორტირებული საკრედიტო რესურსების ხარჯზე ფინანსდებოდა „ფინანსური პირამიდებით“ დასხეულებული სამშენებლო ბიზნესი და სამომხმარებლო საყოფაცხოვრებო საქონლის იმპორტი, რაც ქვეყნის ეკონომიკაზე ვერანაირად ვერ აისახებოდა დადგინდა.

როგორც რესენტის აგრესიის შედეგად დაზარალებულ მხარეს, საერთაშორისო გაერთიანებამ საქართველოს მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება გაუწია. კერძოდ, გამოითქვა მზადყოფნა საქართველოსათვის გამოყოფილი 4,55 მლრდ აშშ დოლარის დახმარება, საიდანაც 2 მლრდ არის გრანტი, ხოლო დანარჩენი კი შედავათიანი კრედიტი [17]. ამ თანხების საქართველოში შემოსვლა დაიწყო 2008 წელს და გაგრძელდება 2010 წლის ჩათვლით.

უნდა ადინიშნოს, რომ საქართველოს კომერციულ ბანკებს ევროპის ფინანსურ ბირჟებზე დახსელობით 500 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ვალი დაუგროვდა, რომლის დაფარვის ვადა 2009 წლის გაზაფხულზე დადგა. სამწუხაროდ, თავად ამ ბანკებს ვალის დაბრუნება არ შეეძლოთ, მაგრამ საქართველომ თავიდან აიცილა საბანკო კრიზისი, ვინაიდან, დონორთა ზემოხსენებული დახმარების ფარგლებში, საქართველოს ბანკებმა 636 მილიონი აშშ დოლარი მიიღეს [17, გვ. 11].

საბიუჯეტო სფეროში კრიზისი იმით გამოვლინდა, რომ 2009 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების 500 მილიონი ლარით შემცირება, რაც 2009 წლისათვის დაგეგმილი ბიუჯეტის ჯამური საგადასახადო შემოსავლების 10,5% შეადგინს. ამასთან, მთლიანად საბიუჯეტო მაჩვენებლები გაიზარდა, რაშიც ლომის წილი დონორთა ზემოადნიშნულ დახმარებაზე მოდის [18].

საქართველოში ეკონომიკური კრიზისის უარყოფითი ეფექტები ბევრად უფრო საგრძნობი იქნებოდა, რომ არა საერთაშორისო თანამეგობრობის ფინანსური დახმარება საქართველოსთვის, როგორც რესენტის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალ გბული მხარისათვის. სხვაგარად რომ ვთქათ, რომ თავისი არსით უარყოფითი მოვლენაა, თუმცა საქართველოსთვის მას თავისი, თუ შეიძლება ითქვას, დადგინდო მხარეც პქონდა, რაც ამ ფინანსური დახმარებით გამოიხატა. შედეგად მივიღეთ ე.წ. „ომის პარადოქსი“, როცა რომ უარყოფით შედეგებს იწვევს, მაგრამ ზოგიერთი დადგინდო უფლებიც ახლავს [16].

2009 წელს საქართველოს ეკონომიკაში აშკარად შეინიშნება დაქვეითება: 2009 წლის პირველ ნახევარში მთლიანამ შიდა პროდუქტი 2008 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლის მხოლოდ 89,3% შეადგინა [10]. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზებით საქართველოში ეკონომიკური ვარდნა 2009 წელს 4% იქნება [19, გვ. 4].

საქართველოს მრეწველობაში შექმნილმა სიტუაციამ, როცა ათმა ყველაზე დიდმა საწარმომ საგრძნობლად შეამცირა წარმოების მოცულობა, ან საერთოდ დაიხერა [20, გვ. 61], კიდევ უფრო გაძმიშვლა ნეკროეკონომიკის [21] პრობლემები. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა პერიოდულად იძენს სახუქს საბჭოთა პერიოდის უდიდესი ქიმიური კომბინატის „აზოტისაგან“, ამჟამად ამ საწარმომაც შეაჩერა მუშაობა [20, გვ. 61]. მაგრამ ყველაზე ნიშანდობლივი ის არის, რომ საქართველოს ეკონომიკაში აშკარა კრიზისული მოვლენების მიუხე-

დავად, ეს სამრეწველო საწარმოები, ნებროვეკონომიკის „საუკეთესო” ტრადიციებით, 2009 წლის პირველ თვეებშიც განაგრძობდნენ საწყობზე მუშაობას, რადგან მათ მიერ გამოშვებულ პროდუქციას მყიდველი არ ჰყავს; ამ საწრმოებმა მუშაობა მხოლოდ აპრილ-მაისში შეწყვიტა, როცა ყველა საწყობი გადავსებული აღმოჩნდა [20, გვ. 61].

ეპონომიკური კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანის მიზნით, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ეწ. „იხალი ფინანსური პაკეტი”, რომელიც, ძირითადად, საბანკო და სამშენებლო სექტორს მოიცავს [22]. კერძოდ, მთავრობამ გადაწყვიტა 260 მილიონი ლარის სახაზინო ვალდებულებების გამოშვება და აქციან მიღებული თანხების დაბანდებას ინფრასტრუქტურულ პროექტებში გეგმავს. ამით ის ეხმარება კომერციულ ბანკებს, რომლებიც სახაზინო ვალდებულებების ძირითადი მყიდველები არიან, რადგან, ეკონომიკური კრიზისის პირობებში, ბანკები ბიუჯეტიდან გარანტირებული შემოსავლის მიღებას შეძლებენ. ამასთან, პაკეტი ითვალისწინებს ბანკების რეგულირების შესუსტებასაც, რაც, მთავრობის მოსაზრებით, საკრედიტო რესურსების სახით მათ დამატებით 700 მილიონ ლარზე მეტს მისცემს. ეს პაკეტი ასევე ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მერიის მიერ ფინანსური გარანტიების გამოყოფას იმ სამშენებლო კომპანიების მიერ საბანკო კრედიტების მისაღებად, რომლებიც ძველი თბილისის საცხოვრებელი ფონდის განახლებას მოჰკიდებენ ხელს.

როგორც ვხედავთ, მართალია ეკონომიკური კრიზისის პირობებში საქართველოს ნეკროვეკონომიკის პრობლემა მეტად აქტუალურია, საბედნიეროდ, მთავრობა, თავისი ანტიკრიზისული დონისძიებებით, ჯერჯერობით არ აპირებს ნეკროვეკონომიკის ობიექტების დაფინანსებას, თუმცა ამ ობიექტების გაკოტრების იურიდიული პროცედურის დაწყების არც ერთი ფაქტი არ არსებობს. ამასთან, საქართველოს მთავრობა მზადაა, სტიმული მისცეს სამშენებლო ბიზნესში “ფინანსური პირამიდის” პრინციპებით მომუშავე კომპანიებს, რაც სხვა არაფერია, თუ არა ამ სამშენებლო კომპანიების ზომბირების ხელშეწყობა [23, 24]. ხოლო მათი დახმარებით იმ ბანკების ზომბირება, რომლებიც ქალაქ თბილისის მერიის ფინანსური გარანტიების ხარჯზე მისცემენ კრედიტებს ამ კომპანიებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Akhmeteli, Nina, “Will the American Economic Crisis Hit Georgia?”, *Investor.ge*, Issue 2, April, 2008, available from: http://www.investor.ge/issues/2008_2/01.htm.
2. Cornell, Svante E., and S. Frederick Starr, eds. *The Guns of August 2008: Russia's War in Georgia*. Armonk: M.E. Sharpe, 2009.
3. ქაჯელია მერაბ, „ომის შემდგომი ეკონომიკური საფრთხეები საქართველოში და მათი ნეიტრალური გზები”, საქართველოს კონფერენციები, კვარტლური მიმოხილვა, ოქტომბერი, 2008. ხელმისაწვდომია საიტზე: [http://www.geplac.org/newfiles/GeorgianEconomicTrends/2008/October%202008%20%20\(geo_o\).pdf](http://www.geplac.org/newfiles/GeorgianEconomicTrends/2008/October%202008%20%20(geo_o).pdf).
4. Corso, Molly, “Georgia's Expansion Halts”, *Caucasus Analytical Digest: The Caucasus in the Global Financial Crisis*, No. 6, May 21, 2009, pp. 5-7. Available from: http://www.hertie-school.org/binaries/addon/1282_caucasus_economic_report.pdf.
5. Giuli, Marco, “Georgia and the Systemic Impact of the Financial Crisis”, *Caucasian Review of International Affairs*, Vol. 3 (3), 2009, pp. 261-277. Available from: http://www.cria-online.org/Journal/8/Done_Georgia%20and%20the%20systemic%20impact%20of%20the%20financial%20crisis_Marco%20Giuli.pdf.
6. Papava, Vladimer, “Post-War Georgia's Economic Challenges”, *Central Asia-Caucasus Analyst*, Vol. 10, No. 23, November 26, 2008. Available from: <http://www.cacianalyst.org/?q=node/4991>.

7. Papava, Vladimer, “Georgia’s Economy: Post-revolutionary Development and Post-War Difficulties”, *Central Asian Survey*, Vol. 28, No. 2, 2009, pp. 199-213.
8. პაპავა ვლადიმერ, “პოსტრევოლუციურ საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების პათოლოგიური ანატომია”, წიგნში საქართველოს კუნძულის მუცხისებრი მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტი, ტომი 6, ობილიხი, „სიახლე”, 2008, გვ. 18-36.
9. Papava, Vladimer, “Anatomical Pathology of Georgia’s Rose Revolution”, *Current Politics and Economics of the Caucasus Region*, Vol. 2, Issue 1, 2009, pp. 1-18.
10. “ეროვნული ანგარიშები”, საქართველოს სტატისტიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2009. ხელმისაწვდომია საიტზე: <http://www.statistics.ge/main.php?pform=85&plang=2>.
11. “ფასები”, საქართველოს სტატისტიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2009. ხელმისაწვდომია საიტზე: <http://www.statistics.ge/main.php?pform=91&plang=2>.
12. Khaduri, Nodar, “Georgia: Economy”, in *Central Eurasia 2008*. Luleå: CA&CC Press, 2009, pp. 151-157.
13. “საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები”, საქართველოს სტატისტიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2009. ხელმისაწვდომია საიტზე: <http://www.statistics.ge/main.php?pform=92&plang=2>.
14. “უცხოური ინვესტიციები შემცირდა”, *Civil.Ge*, 18 ივნისი, 2009. ხელმისაწვდომია საიტზე: <http://www.civil.ge/geo/article.php?id=21390>.
15. Rukhadze, Irakli, and Mark Hauf, “The Georgian Economy Under Saakashvili”, *The Financial*, April 21, 2009. Available from:
http://www.finchannel.com/index.php?option=com_content&task=view&id=35088&Itemid=13.
16. Папава, Владимир, «У экономического кризиса в Грузии отечественные корни», *Вестник Кавказа*, 27 Июня, 2009. Доступен на сайте:
http://www.vestikavkaza.ru/articles/ekonomika/mir_fin_kriz/4249.html.
17. *Georgia Joint Needs Assessment. Donor Funding in Support of Post-Conflict Recovery and Reconstruction. Progress Report*. The United Nations, The World Bank, June 30, 2009. Available from: http://www.mof.ge/common/get_doc.aspx?doc_id=5994.
18. “საბიუჯეტო ცვლილებების დებალები”, *Civil.Ge*, 16 ივნისი, 2009. ხელმისაწვდომია საიტზე: <http://www.civil.ge/geo/article.php?id=21383>.
19. “Georgia: Third Review Under the Stand-By Arrangement and Requests for Augmentation, Extension of the Arrangement, Rephasing of Purchases, and Modification of Performance Criteria – Staff Report; Press Release on the Executive Board Discussion; and Statement by the Executive Director for Georgia”, *Georgia and the IMF*, August 21, 2009. Available from: <http://www.imf.org/external/pubs/ft/scr/2009/cr09267.pdf>.
20. Aris, Ben, “Donor Money Keeps Georgia Afloat”, *bne – businessneweurope*, August, pp. 59-61, 2009. Available from:
http://www.businessneweurope.eu/story1693/Donor_money_keeps_Georgia_afloat.
21. Papava, Vladimer, *Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism*. New York: iUniverse, 2005.
22. “მთავრობაშ ეკონომიკის სტიმულირების ახალი პაკეტი მოამზადა”, *Civil.Ge*, 30 ივნისი, 2009. ხელმისაწვდომია საიტზე:
<http://www.civil.ge/geo/article.php?id=21450>.
23. Папава Владимер, «Проблема зомбирования посткоммунистической некроэкономики», *Вестник Института Кеннана в России*, Выпуск 15, 2009, сс. 37-48.
24. Папава В., «Финансовый кризис и посткоммунистический капитализм», *Мировая экономика и международные отношения*, № 8, 2009, сс. 89-95.

Vladimer Papava

Doctor of Economic Sciences, Professor

FEATURES OF THE MODERN ECONOMIC CRISIS IN GEORGIA

Summary

After the five-day Russian-Georgian war in August 2008, and in consideration of the global financial crisis, Georgia has come to face some new economic challenges. As far as Georgia's economic crisis is concerned, it must be noted that the crisis also has its own domestic roots. These latter consist in the economic policy mistakes that the post-revolution government has made in the aftermath of the Rose Revolution. The negative effects of the Georgian economic crisis might have been far more distressing had the international community not extended a helping hand in response to the Russian military aggression. In other words, although war by essence is a negative phenomenon, it had a positive implication for Georgia, to a certain degree, to the extent that the country received an enormous amount of international financial assistance. This creates, therefore, a so-called "Paradox of War" or a situation wherein aggressive entails not only negative consequences but some positive ones, too.

როგორა ასათიანი

ეკონომიკურ მუცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ
მუცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი

საქართველოს საბანკო სისტემა გლობალური ზონაში პრიზის პირობებში

საქართველოს საბანკო სისტემა, მიუხედავად ბოლო წლებში მიღწეული წარმატებებისა, მრავალი შიგა თუ გარე ფაქტორების გავლენით ვერ ჩამოყალიბდა ისეთ მდგრად ინსტიტუტი, რომელიც ქვეყანაში კაპიტალის ქრონიკულ უკმარისობას და, აქვთ გამომდინარე, ეკონომიკური ზრდის ამოცანებს გაართევდა თავს. ეს მოსაზრება არ არის მხოლოდ აკტორის სული, ასეთ დასკვნებს ადგილობრივი თუ უცხოელი ექსპერტებიც აქთებენ [1. გვ. 63-64; 2. გვ. 12].

საქართველო გამოიჩევა დანაზოგების ძალზე დაბალი დონით და ამ მაჩვენებლის მიხედვით საპარის სამხრეთი მდებარე განვითარებადი ქვეყნების ჯგუფში განიხილება [1. გვ. 62]. ამიტომ, ვინაიდან დეპოზიტების ბაზა საკმარისი არ იყო ეროვნული ეკონომიკის სესხებით უზრუნველსაყოფად, ეს ართულებდა სიტუაციას და ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით, ბანკები საგარეო ბაზრებიდან სესხების მოზიდვას ახერხებდნენ. ამ კამპანიაში იმდენად მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ უცხოური ინვესტიციების მოზიდვა გახდა არა ქვეყნის შიგა დანაზოგების დაფიციტის შევსტის წარო, არამედ, შეიძლება ითქვას, ეკონომიკის განვითარების მამორავებელ ძალად გადაიქცა.

საქართველოს საბანკო სისტემას ბზარი 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის დაწყებამდე გაუჩნდა. თუმცა, გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა, რომელ საც აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის კოფილმა ხელმძღვანელმა ალან გრინსპენმა უწინდა „კრიზისი, რომელიც 50 წელიწადში ერთხელ ან, შესაძლოა, საუკუნეში ერთხელ მოხდეს“ [2. გვ. 20], ეს ბზარი კიდევ უფრო გააღმავა და ნათელი გახდა. შემთხვევითი არ იყო, რომ ქვეყნის საბანკო სექტორმა 2008 წელი 215 მლნ ლარის ზარალით დაასრულა.

2008 წლის ბოლომდე საქართველოს საბანკო სისტემას ბაზეფის საზედომედველო კრიზების მიერ შემუშავებულ საბანკო ზედამხედველობის რეგულირების „ბაზელი-I“-ის სისტემას ეყრდნობოდა. თუმცა, ჯერ კიდევ 2004 წლის ივნისში შემუშავდა უფრო სრულყოფილი „ბაზელი-II“-ის სისტემა, რომლის მირთადი მოორიგენულია: საკრედიტო და საოცერაციო სისტემების შეფასება და გამჭვირვალობა, კომერციული ბანკების მიერ კრედიტების გაცვემის პროცესში საკუთარი კაპიტალის განმტკიცების მიზნით ერთიანი კონკურენციული პირობების შექმნა, ახალი ფინანსური ინსტრუმენტების დანერგვა და ა.შ.

საქართველოს საბანკო სისტემის უზნეციონირების დონის გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია მშპ-თან საბანკო სესხების ოდენობის შეფარდების ინდიკატორის გამოყენება. ეს მაჩვენებელი 2007 წელს აშშ-ში თითქმის 230%-ს აღწევდა, ხოლო საშუალო ევროპული მაჩვენებელი 200%-ის ფარგლებში მერყობდა, მაშინ, როდესაც საქართველოში მხოლოდ 31%-ს შეადგენდა, ანუ მშპ-თან მიმართებაში საკრედიტო პორტფელის ოდენობა კატასტროფულად დაბალი იყო [11].

ცნობილია, რომ საქართველოში მშენებლობის გრძელვადიანი დაკრედიტება იმპორტის დაფინანსებას უწყობდა ხელს და არა წარმოების განვითარებას. გრძელვადიანი კრედიტების 20%-ზე მეტი იპოთეკურზე მოდიოდა. 2007 წელს იპოთეკური სესხების მოცულობა, 2006 წელთან შედარებით, 50%-ით, ანუ 600 მლნ ლარით გაიზარდა. ამასთან, სამშენებლო კომპანიების საკუთრებაში არ სებული (ან ჯერ მხოლოდ „პაკეტში“ არსებული) ბინების უმეტესობა კრედიტით იყიდებოდა. დეველოპერების უმრავლესობა ფულს ბანკებიდან სესხულობ-

და. ბანკებს, სადაზღვევო და სამშენებლო კომპანიებს შორის მყარი ურთიერთ-დამოკიდებულება ჩამოყალიბდა. სამომხმარებლო ბაზარზე საბანკო სექტორის მსარდი აქტიურობა მათი მხრიდან სერიოზულ რისკებს უკავშირდებოდა, რა-საც უმთავრესად მოსახლეობის არასტატისტური და დაბადი შემოსავალი განაპირობებდა. ამასთან, მადალი იყო ბანკების ლიკვიდურობის რისკი. მის გადაფარვას ბანკები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საკრედიტო ხაზების მეშვეობით ცდილობდნენ. 2007 წელს მათი მოცულობა 127%-ით გაიზარდა, მაშინ, როდესაც დეპოზიტების მოცულობამ მხოლოდ 55%-ით იმატა. ჩამოყალიბდა ლიკვიდურობის კრიზისი, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციებიდან საკრედიტო რესურსების შემდგომ მოზიდვას ართულებდა. ამასთან, ბანკების საზედამხედველო კაპიტალის აღეკავატურობის კოეფიციენტი, ანუ კაპიტალის შეფარდება რისკების მიხედვით შეწონილ აქტივებთან, 2008 წლის ბოლოსთვის 14%-ზე მეტი იყო, რაც საქართველოს საბანკო სექტორში დადგენილ ნორმატივზე (12%) მაღალია [11]. ეს, გარკვეულწილად, ხელს უწყობდა საბანკო რისკების შემცირებას.

საერთაშორისო საფალუბო ფონდის მისის მიერ საქართველოში გატარებული რეფორმების შედეგად კომერციული ბანკები თანადათან ეროვნული ბანკის კონტროლიდან გამოვიდნენ. ამით ეროვნული ბანკის პასუხისმგებლობის სფერო შეიზღუდა. 2008 წლის ბოლოსთვის გამოიკვეთა ბანკების სამი ჯგუფი:

1. მსხვილი ბანკები („საქართველოს ბანკი“, „თი-ბი-სი ბანკი“, „რესპუბლიკა ბანკი/ჯგუფი სოხიერე ჯგნერალი“), რომლებმაც უცხოური სახსრები მოიზიდეს და კვლავ ლიდერ-ბანკებად დარჩნენ; 2. სამშენებლო და სამომომპოვებელ ბიზნესთან მჭიდროდ დაკავშირებული (მიბმული) ბანკები, რომლებსაც ნაკლებად დივერსიფიცირებული აქტივები ჰქონდათ და კლიენტებიც არცოუ ისე ბევრი ჰყავდათ („სახალხო ბანკი“); 3. დივერსიფიცირებული აქტივების მქონე, მაგრამ სამშენებლო და სამომომპოვებელ ბიზნესთან ნაკლებად დაკავშირებული ბანკები („პროკრედიტ ბანკი საქართველო“, ბანკი „ქართული“).

ადსანიშნავია, რომ ბანკებს 2008 წლის აგვისტოს ომაძლე შეექმნათ სერიოზული პრობლემები. არ გაამართდა იმ ვარაუდმა, რომ მსოფლიო ბაზარზე დაწყებული საბინაო სექტორის დამანგრეველი ტალღა საქართველომდე ვერ მოაღწევდა და უძრავ ქონებაზე ფასების ზრდის ტენდენცია გაგრძელდებოდა. ამ თვალსაზრისით, საქართველოს ბანკებს ლიკვიდურობის მხრივ დიდი პრობლემები შეექმნა. 2008 წლის 1 აგვისტოსთვის საბანკო სექტორში განთავსებული არასაბანკო დეპოზიტების მოცულობა 3,1 მლრდ ლარი იყო, ხოლო 1 თვეში იგი 2,7 მლრდ ლარამდე შემცირდა. აგვისტოს ომის შემდეგ ვადაგადაცილებული სესხების რაოდენობამ 268 მლნ ლარი შეადგინა. 2008 წლის პირველი 11 თვის მონაცემებით, საბანკო სექტორმა მთლიანად 158 მლნ ლარის ზარალი განიცადა. ამასთან, საბანკო პროცესებზე მოთხოვნა მკვეთრად დაეცა. ამ პერიოდისთვის კვლავ მაღალი იყო უცხოური ვალუტის წილი დეპოზიტების მთლიან მოცულობაში და 84,8%-ს შეადგენდა. აგვისტოში საქართველოს ბანკებმა დიდი ზარალი ინგესტირების მხრივაც განიცადეს. ეროვნული ბანკის 2008 წლის პირველი 9 თვის მონაცემებით, საქართველოს საბანკო სექტორში, გასულ 2007 წლისთვის შედარებით, მთლიანი ინგესტირების მოცულობა 37%-ით ნაკლები იყო და მან მხოლოდ 73,6 მლნ ლარის შეადგინა [11].

2008 წლის დასასრულისთვის საგრძნობლად იკლო საქართველოს საკრედიტო ბაზარზე ბანკების საინვესტიციო აქტიურობამ. მათ უურადღება სესხების ამოღებაზე გადაიტანეს.

საქართველოს საბანკო სექტორში არსებულ პრობლემებზე საერთაშორისო საბანკო რეიტინგებიც მეტყველება. საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Moody's-მა „საქართველოს ბანკის“ და „თი-ბი-სი ბანკის“ რეიტინგები შეუმცირა. ორივე ბანკის დეპოზიტების რეიტინგი (ეროვნულ ვალუტაში) „B1“-დან „B3“-მდე შემცირდა, ხოლო ვადაგადაცილებული ვალების რეიტინგი – „B2“-მდე. კე-

ხოურ ვალ უტაში დეპოზიტების მოცულობაც უარყოფითი პროგნოზით ხასიათდება. ამასთან, „საქართველოს ბანკის“ აქციები ლონდონის საფონდო ბირჟაზე ვარდნით დაფიქსირდა [8. გვ. 6].

თანამედროვე საბანკო პანიკა, რომელსაც სპეციალისტები „დაიმონდ-დიბ-ვიგის“ მოდელით აღწერენ, განსაკუთრებით იქთი საბანკო სისტემისთვისაა ნიშანდობლივი, რომელშიც დეპოზიტებსა და სესხებს შორის ვადიანობის მნიშვნელოვანი დისხადანსია. ეს თვალშისაცემი ნაკლოვანება საქართველოს საბანკო სისტემისთვისაცაა დამახასიათებელი, რაც, „დაიმონდ-დიბვიგის“ მოდელიდან გამომდინარე, საქართველოს ბანკებს იძულებულს გახდის, გამოაცხადონ საბანკო არდადეგები ან მეანაბრეებს შეუზღუდონ დეპოზიტების უკან გამოხვავა.

2008 წლის ბოლოსათვის საქართველოში პრაქტიკულად არ მუშაობდა გრძელვადიანი დაზოგვის მექანიზმი. ქვეყანაში დაახლოებით 2170 ათასი ფიზიკური და იურიდიული პირის დეპოზიტი ირიცხებოდა, რომელთაგან ერთ თვეში დეპოზიტების რაოდენობა დეპოზიტების მოლიანი რაოდენობის 99%-ს შეადგენდა. განსაკუთრებით დიდი შეჯსაბამობა იყო დეპოზიტებისა და სესხების საშუალო სიიდეგებს შორის. საშუალო სესხი საშუალო დეპოზიტს თითქმის სამჯერ აღემატებოდა, რაც ძალ ზე საშიშია და, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, საბანკო პანიკის გავრცელების შემთხვევაში, საქართველოს საბანკო სისტემა, ფაქტობრივად, მოზიდული თანხების გარეშე დარჩება [2.20].

საქართველოს საბანკო სისტემაში 2008 წლის ბოლოსათვის ჩამოყალიბებულ მძიმე ვითარებაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოყვანილი ცხრილი.

ცხრილი

დეპოზიტებსა და სესხებს შორის სხვაობა ვადიანობის მიხედვით 2008 წლის ბოლოსათვის (ათასი ლარი) [11]

ვადიანობის ხანგრძლივობა	სხვაობა გაცემულ სესხებსა და დე- პოზიტებს შორის	დეპოზიტების საშუალო სილიგე	სესხების საშუალო სილიგე
1 თვეშე ვადიანობის	1,993,650	0.97	0.60
1 თვიდან 3 თვის ჩათვლით	82,000	17.95	0.97
3 თვიდან 6 თვის ჩათვლით	-25,840	7.47	4.23
6 თვიდან 12 თვის ჩათვლით	-316,557	12.10	2.10
12 თვეშე მეტი	-3,881,310	5.22	11.91
სულ	-2,148,056	1.61	4.75

საქართველოს საბანკო სისტემაში შექმნილ რთულ მდგომარეობას ხელი შეუწყო მსოფლიოში საემარო პრობირებული დეპოზიტების დაზღვევის ინსტიტუტის არარსებობამ. ამასთან, საბანკო პანიკისაგან თავდაცვის ეფექტიანი საშუალება ქვეყანაში ინვესტიციების დაბანდების ხელშეწყობი ფაქტორიცაა. ამასთან დაკავშირებით, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა არაერთი რეკომენდაცია მისცეს საქართველოს. საერთაშორისო საგალუტო ფონდის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში ედვარდ გარენერი ურჩევდა მთავრობას, შემოედო საბანკო დეპოზიტების დაზღვევა, როგორც ბანკებისადმი ნდობის აღდგენის ერთ-ერთი ქმედითი საშუალება. ამიტომ, ბუნებრივია, ქვეყნის სტრატეგიული განვითარების პროგრამაში იგი სათანადოდ უნდა აისახოს. მით უმტკი, გლობალური კრიზისის დაწყებასთან დაკავშირებით, საქართველოს მოსახლეობის ნდობა ბანკების მიმართ მკვეთრად დაეცა და საბანკო ოპერაციების უმეტესობა უცხოური ვალ უტით ხორციელდება.

შექმნილ არაორინარულ სიტუაციაში, 2008 წლის ბოლოსათვის, საქართველოს ბანკებში რისკების განვითარებისა და სტრატეგიული მენეჯმენტის შეცვლის აუცილებლობა დადგა, რისთვისაც მათ ახალი სტრატეგიის შემუშავება დაიწ-

ყეს. ზოგიერთმა მათგანმა გლობალური ფინანსური კრიზისის წინ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან თანხების მოზიდვაც კი შეძლეს, რითაც ლიკვიდურობის მწვავე პრობლემა დაძლიერს. მაგალითად, „საქართველოს ბანკმა“ 200 მლნ ლარი მიიღო „საერთაშორისო ფინანსური კორპორაციისა“ და „ეკონომისტის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან“. 2008 წლის 22 ოქტომბერს ბრიუსელში გამართულ დონორთა საერთაშორისო კონფერენციაზე, საქართველოს საბანკო სექტორის მსარდასაჭერად, სესხებისა და გრანტების სახით 850 მლნ ლარი გამოიყო. მიუხედავად ამისა, ეროვნული ბანკის მონაცემებით, თუ 2009 წლის იანვარში საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები, წინა წელთან შედარებით, 319 მლნ ლარით შემცირდა და 8 მლრდ 546 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო საბანკო სექტორის აქციონერული კაპიტალი 7,9 მლნ ლარით შემცირდა და 1 მლრდ 509 მლნ ლარი შეადგინა, 2009 წლის სექტემბერში, იანვართან შედარებით, აქტივები შემცირდა 669 მლნ ლარით და შეადგინა 7 მლრდ 877 მლნ ლარი, ხოლო აქციონერული კაპიტალი გაიზარდა მხოლოდ 2 მლნ ლარით და 1 მლრდ 511 მლნ ლარი შეადგინა [11].

რამდენად შეძლებს საქართველოს საბანკო სისტემა რეალურ პრობლემებთან გამკლავებას და როგორ მოერგება ერთიან გლობალურ სამყაროს, ამ ყველაფერზე ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის მომავალი. ვგულისხმობთ ფულად-საკრედიტო რეგულირების ისეთ მოდელს, რომელიც ხელისუფლებას მისცემდა საშუალებას, მაქსიმალურად და რაც შეიძლება ეფექტურად გამოიყენოს გლობალი ზაციის პრინციური მხარეები, ხოლო მინიმალურად შეამციროს მისი ნებატიური გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე და თავიდან აიცილოს შოკების წარმოქმნის საშიშროება, რომლის წინაშეც დგას საქართველო.

გამოყენებული ლიტერატურა

- კორდონიე ჭ კერძო დანაზოგები,** მაკროეკონომიკური სტაბილურობა და ფინანსური სექტორის განვითარება საქართველოში. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC. ოქტომბერი, 2008.
- საქართველოს ეკონომიკური საფრთხეებისა და მთავრობის კრიზისისგან დაცვის სტრატეგიის ანალიზი და რეკომენდაციები. ანგარიში მომზადდა კრალიცია „გამჭვირვალე ფინანსური დახმარება საქართველოს“ ფარგლებში. თბ., თებერვალი, 2009.
- პაპავა გ ბრიუსელის კონფერენციის გადაწყვეტილებათა ფარგლებში დონორთა ფინანსური დახმარების ასახვა საქართველოს 2008 და 2009 წლების სახელმწიფო ბიუჯეტებში. ანგარიში მომზადდა კრალიცია „გამჭვირვალე ფინანსური დახმარება საქართველოს“ ფარგლებში. თბ., პრილი, 2009.**
- პაპავა გ საქართველოს ეკონომიკა:** შეცდომები, საფრთხეები, მათი დაძლევის გზები. „2008 წლის კრიზისი საქართველოში: წინაპირობა, რეალობა, პერსპექტივა.“ დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი. თბ., 2009.
- მესხია ი.** საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე საფრთხეები და ახალი გამოწვევები. „შრომები“. VII ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბ., გამომცემლობა „სიახლე“, 2009.
- მესხია ი.** საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების პრიგნოზები. „სოციალური ეკონომიკა“, №4, 2009.
- გაგულია მ.** მაკროეკონომიკური საფრთხეების გაძლიერება რესუსტი აგრესიის შემდეგ და მათი განეიტრალების შესაძლებლობა. 2008 წლის კრიზისი საქართველოში: წინაპირობა, რეალობა, პერსპექტივა. დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი. თბ., 2009.

8. დანიაშვილი გ. როგორ ებრძვის ფინანსურ ქრიზისს საქართველოს საბანკო სისტემა? „საქართველოს ეკონომიკა“, №3, 2009.
9. ასათიანი რ. მცდარი მონეტარული პოსტულატები და საქართველო იღუზიების ტყვეობაში. „შრომები“, IV ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბ., გამომცემლობა „სიახლე“, 2004.
10. სილაგაძე ა., თოქმაზიშვილი გ. საბანკო სისტემის განვითარების ასექტები საქართველოში. „შრომები“. VI ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბ., გამომცემლობა „სიახლე“, 2008.
11. www.mbg.ge/uploads/depositorycorporeshenqartulad/assets_liabilities_of_commercial_banks_totalgeo.xls

Rozeta Asatiani
Doctor of Economic Sciences, Professor

BANKING SYSTEM OF GEORGIA UNDER FINANCIAL CRISIS

Summary

The banking system of Georgia inspire of some achievements in recent years has not established itself as a stable institution, which would be able to cope with the chronic shortage of capital, due to the various internal or external factors. Hence, it turned unable to cope with economic problems of the country. The crack in the banking system was evident before the beginning of the global crisis in 2008 and it has just widened by the global impact. Notably, the 2008 year's bottom line ended up with GEL 215 mln in aggregate loss.

The long-term loans to the construction industry has mainly promoted the import, not the development of the local industry. 20% of long-term loans was secured by mortgages. The liquidity risk of the banks was very high, which was safeguarded by the foreign financial institutions' credit lines. In 2007 they increased by 127%, compare to increase in volume of local deposits just by 55%. By the end of 2008 investment activity of the banks has sharply decreased. The situation was aggravated by the absence of the system of deposit insurance.

In this extraordinary situation the commercial banks began changing the strategic planning and risk management for the purpose of elaboration of new strategy.

**ნოდარ ხადური
ეკონომიკის დოქტორი,
თხუ სრული პროფესორი**

ომის შემდგომი საქართველოს ეკონომიკური საზროლებელი

რუსეთ-საქართველოს ომმა, რომელიც 2008 წლის აგვისტოში 5 დღის განმავლობაში გრძელდგბოდა, საქართველოს ეკონომიკისათვის ახალი, სერიოზული გამოწვევები წარმოქმნა. ჩვენი ამოცანა არ არის ომის მიზეზებზე ან მის პოლიტიკურ შედეგებზე საუბარი, თუმცა ეს უკანასხნელი საქმაოდ მძიმე აღმოჩნდა საქართველოსათვის. ნებისმიერი ომი საქმაოდ მძიმე გამოცდაა ეკონომიკისათვის, ასეთი იყო ხუთდღიანი ომიც.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ძალიან მძიმე იყო, დია სამხედრო დაპირისპირებაშ ყველა მოლოდინს გადააჭარბა. დღეს საქართველოს ტერიტორიის 20% ოკუპირებულია, იქ 2 “დამოუკიდებელი სახელმწიფო” შეიქმნა, ამ ტერიტორიებზე განხორციელდა ეთნოწენება, განადგურებულია ათეულობით ქართული სოფელი. გარდა ამისა, სამხედრო მოქმედებები მიმდინარეობდა საქართველოს სხვა ტერიტორიებზეც, რუსულმა ავიაციამ იქრიში მიიტანა კონფლიქტის ზონიდან დაშორებული ქალაქების სამოქალაქო და სამხედრო ინფრასტრუქტურაზე, გადაიწვა კონფლიქტის ზონის შეზობლად მდებარე სოფლები. დაიბომბა გორი, თბილისი, ფოთი, ქუთაისი, მარნეული. საოცენაციო ჯარები იყავებდნენ აღმოსავლეთ-დასავლეთის რეალურად ერთადერთ დამაკავშირებელ ავტომაგისტრალს, აფეთქდა საქართველოს რეინიგზის ლიანდაგი, აპარალი ზებული იყო ფოთის პორტი, სერიოზული ზიანი მიადგა გარემოს, მათ შორის შავ ზღვას და ტყეებს ბორჯომის ხეობაში.

დღეს, ომის დასრულებიდან 15 თვის შემდეგაც, როგორია ზარალის ზუსტი ოდენობის დადგენა, მაგრამ ის ფაქტია, რომ, მულტიპლიკატორის ეფექტით, საქართველოს ეკონომიკა ჯერაც ომის შედეგებს იმის.

გასული წლის შემორე ნახევარსა და 2009 წლის განვლილ პერიოდში საქართველო გლობალური კრიზისის ზეგავლენას განიცდის. ომი, კრიზისი და სშირად მთავრობის არაკომპეტენტური პოლიტიკა, უნისონში მოქმედებდა და მოქმედებს საქართველოს ეკონომიკის “წინააღმდეგ”.

ომის შემდეგ ჩვეულებრივ მოვლენად იქცა საქართველოს ეკონომიკაში არსებული პრაქტიკულად ყველა პრობლემის ომისათვის გადაბრალება, მაგრამ, სამწუხაროდ, რაიმე კონკრეტული ანალიზი და კვლევებს დაყრდნობილი მონაცემები ომის როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი ზარალის შესახებ საქართველოს ხელისუფლების მიერ არ გაკეთებულა, ან, თუ გაკეთდა, ფართო საზოგადოებისათვის უცნობია. ამდენად, ოფიციალური სტატისტიკის სიმწირის გამო, ანალიზისათვის ჩვენ მოგზიშია ექსპერტული შეფასებებითა და არასამთავრობო ორგანიზაციების გამოკვლევებით ხელმძღვანელობა, რაც, ცხადია, სერიოზული შეფერხებაა ომის შედეგების კვლევის გზაზე.

როდესაც რუსეთ-საქართველოს ომზე გსაუბრობთ, არ უნდა დაგვავწყდეს, რომ იგი საქართველოს ეკონომიკისათვის გაცილებით ადრე დაიწყო ვიდრე 2008 წლის 7 აგვისტო იყო. დამოუკიდებელი საქართველო, ეკონომიკური თვალსაზრისით (სამწუხაროდ, არა მხოლოდ ეკონომიკური), რუსეთთან პრაქტიკულად მუდმივად ომის პირობებში ცხოვრობდა. ეს იყო თუნდაც 1992 წელი, როდესაც რუსეთმა ცალმხრივად დაგვატოვებინა რუბლის ზონა¹, როდესაც უარი განაცხადა ფულის ნიშნების მოწოდებაზე (ამ დროს რუსეთის ცენტრალური ბანკი იყო საქართველოსათვის ქმიტები და საქართველოს ხელისუფ-

¹ დაწვრილებით იხ., პაბავა ვ., პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა, თბილისი, თხუ, 2005, გვ. 35.

ლებაში მაშინაც, ისევე, როგორც დღეს, ბევრი ადამიანი იყო, რომელიც თვლიდა, რომ საქართველოს არ უნდა ჰქონოდა საკუთარი ფული, და, შესაბამისად, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა)², ასევე 1998 წელს, როდესაც, რუსეთის დაფოლტის შემდგომ, რუსულმა იაფხა იმპორტმა პრაქტიკულად წალეპა საქართველო, ხოლო ქართული პროდუქცია, გაძვირების გამო, ვეღარ შედიოდა რუსულ ბაზარზე³. გამოუცხადებელი ომის გამოვლენა იყო საქართველოს მოქალაქეთავის რუსეთში სავიზო რეჟიმის შემოღება და ქართული პროდუქციისათვის რუსეთის ბაზრების დაკეტვა, ენერგობლოკადა და სხვა მსგავსი ქმედებები. ამავე დროს, არაქტიკულად შეწყვეტილი იყო, და დღემდე ასე რჩება, რუსეთ-საქართველოს შორის საავტომობილო, საზღვაო, სარკინიგზო და საპარო მიმოსვლა, საფოსტო კავშირი.

ცხადია, ყველა ეს ქმედება საქართველოს ეკონომიკის დასუსტებას ისახავდა მიზნად და, რეალურად, აფერხებდა კიდევ საქართველოს ეკონომიკის განვითარებას.

თუმცა, რუსული გავლენის ყველაზე მძიმე გამოვლინება მაინც ხუთდღიან ომს უკავშირდება. ცხადია, ადამიანური მსხვერპლის, სამოქალაქო და სამსახურო ინფრასტრუქტურის პირდაპირი ნგრევის, გადამწვარი სოფლებისა და ქალაქების გარდა, რომლის ზარალმაც (ცხადია, ადამიანთა სიცოცხლის გარდა, რაც შეუფასებელი ტრაგედია) დაახლოებით 2 მლრდ დოლარამდე შეადგინა, ძალიან მნიშვნელოვნი იყო ქავენის იმიჯის შედახვა.

ომის დაწყებისთანავე სარეიტინგო კომპანიებმა მნიშვნელოვნად შეამცირეს ქვეყნის რეიტინგები, Fitch Ratings-ის კვლევებით, საქართველოს გრძელვადიანი რეიტინგი (BB)-დან (B+)-მდე შემცირდა, Standard & Poor's-ის რეიტინგში კი (B+)-დან (B-)-მდე ჩამოვინაცვლეთ⁴.

ბევრმა ინვესტორმა უარი განაცხადა ინვესტირების გაგრძელებაზე, ეს, უპირველეს ყოვლისა, ყაზახ ინვესტორებს შეეხება, რომლებმაც სასწავლო შეაჩერეს რამდენიმე სერიოზული პროექტის განხორციელება ძირითადად საქართველოს შევიზღვისპირეთ ში, რითაც ეჭვებეშ დადგა საქართველოს გავლით ყაზახური ტვირთების გადაადგილების შესაძლებლობა.

ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა საბანკო სფერო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კომერციული ბანკები ომის დღეებში, ერთი შეხედვით, სტაბილურად მუშაობდნენ, იმდენად მაღალი იყო დეპოზიტების მკვეთრი გადინების საფრთხე, რომ საქართველოს მთავრობის ინიციატივით (და არა ეროვნული ბანკის) საქართველოს კომერციულ ბანკებს ერთდღიანი იძულებითი არდადეგები მოუწყეს. საქართველოს საბანკო სექტორმა ამ დღეებში 300 მლნ ლარამდე დეპოზიტები დაკარგა, საიდანაც 265 მლნ ლარი 2 ბანკზე (“საქართველოს ბანკება” და “თიბისი ბანკზე”) მოდიოდა⁵. ამასთან, ბანკებმა პრაქტიკული

² მიმდინარე ეტაპზე ანალიზიური ხედვების კრიტიკა იხ. ხადური ნ., მონეტარული პოლიტიკის ზოგიერთი თავისებურება საქართველოში, “ეკონომიკა და ბიზნესი”, 2008, №2, ან ხადური ნ., ლარის, როგორც ერთადერთი საგადამსხველო საშუალების სტატუსის გაუქმების შესაძლო შედეგები, კრებულში “ეკონომიკური განვითარების ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე”, თბილისი, პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლიბა, 2009.

³ დაწვრილებით იხ. ხადური Н., რоссийский экономический кризис и его влияние на экономику Грузии. В сборнике: Предпринимательство и реформы в России. Т. 2. Санкт-Петербург, СПбГУ. 1999.

⁴ დაწვრილებით იხ. შესაბამისი სარეიტინგო კომპანიების საიტებზე: www.fitchrating.com და www.standardandpoors.com.

⁵ დაწვრილებით იხ. მშეიძლების, დემოკრატიის და განვითარების კავეასიური ინსტიტუტის კვლევა “2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ: რუსეთ-საქართველოს

დად შეწყვიტეს ინტერნეტბანკინგის მომსახურება, გააჩერეს ბანკომატების ფუნქციონირება და მკეთრად ასწიეს სესხებზე ომამდე ისედაც გაზრდილი საპროცენტო განაკვეთები. პრაქტიკულად შეწყდა სესხების გაცემა როგორც ბიზნესის, ასევე მომსმარებლებისათვის⁶.

კოლაფსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა სამშენებლო ბიზნესი. თბილისი უცბად გადაიქცა გაყინული მშენებლობების ქალაქები, სამწუხაროდ, დღემდე ვერ ხერხდება ომამდე არსებულ მდგომარეობამდე თუნდაც მიახლოება.

სატრანზიტო ფუნქციის დაკარგვის საფრთხე კიდევ უფრო გამძაფრდა, რადგან, მოულ ოდნებლად, ერვანში თურქეთის პრეზიდენტი ჩავიდა და დაიწყო თურქელ-სომხური ურთიერთობების დათბობა⁷, ხოლო “შეკრონმა” გამოაცხადა, რომ აპირებს ნავთობის გადაიტანოს არა საქართველოს რეინიგზის მეშვეობით, არამედ რუსეთის გავლით.

განსაკუთრებული დარტყმა მიაყნა ომშა ტურისტულ ბინზეს. აგვისტო საქართველოში ტურისტული ბუმის თვეა, თუმცა 7 აგვისტოს დაწყებულმა ომმა პრაქტიკულად ჩაშალა ტურისტული სეზონი. საქართველო, რომელშიც უცხოეთიდან ტურისტების შემოდინების მაჩვენებელი ისედაც დაბალია, რეალურად მათ გარეშე დარჩა, საქართველოს კურორტებზე საქართველოს მოსახლეობამაც ვერ მოახერხა დასვენება. ბევრი ტურისტულ ბიზნესში დასაქმებული ფიზიკური და იურიდიული პირი გაკოტრების პირას აღმოჩნდა. ქვეყნის ეკონომიკა ვალუტის შემოდინების ერთ-ერთი სერიოზული წყაროს გარეშე დარჩა.

სამწუხაროდ, ომის დამანგრეველი ზემოქმედების ჩამონათვალში არც ეს მიმართულ ება აღმოჩნდა ბოლო, მნიშვნელოვნად გაუარესდა ინვესტირობა დაცვის გარანტიები. ზოგიერთმა ინვესტორმა დაკარგა მის მიერ შექმნილი საწარმოები. ამის მაგალითად გამოდგება თურქული ინვესტიციები, რომლებიც ახალგორის რაიონში განხორციელდა, ან ის საწარმოები, რომლებიც ცხინვალის რაიონის ქართულ სოფლებში ფუნქციონირებდა. ამ ფაქტებმა არა მხოლოდ არსებულ, არამედ მომავალ ინვესტიციებსაც სერიოზული პრობლემები შეუქმნა. საქართველომ დაკარგა სტაბილური ქვეყნის ისედაც მყიფე იმიჯი.

ამ ფაქტორებმა და ზოგადად ეკონომიკურ პოლიტიკაში არსებულმა პრობლემებმა გამოიწვია ინვესტიციების შემცირება, 2008 წლის, 2007 წლითან შედარებით, საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 22%-ით შემცირდა, თუ 2008 წლის პირველ და მეორე კვარტალში ინვესტიციების მოცულობა წინა წლის შესაბამის პერიოდებთან შედარებით შესაბამისად 27,6% და 50,9%-ით გაიზარდა, მესამე და მეორე კვარტალში კატასტროფული კლება (72,5% და 59,3% შესაბამისად) დაფიქსირდა, 2009 წლის პირველ კვარტალში კი ინვესტიციების კლებამ 2008 წლის პირველ კვარტალთან შედარებით 76,8%, ხოლო, 2007 წლის იმავე პერიოდში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობის მხოლოდ 29,6% შეადგინა⁸.

1994 წლიდან, პირველად, საქართველოს ეკონომიკაში დაფიქსირდა დაცვმა, კერძოდ, თუ 2008 წლის პირველ და მეორე კვარტალში ეკონომიკა წინა

ომის შედეგები”, რომელიც 2008 წლის სექტემბერში გამოქვეყნდა:

http://cipdd.org/files/35_318_748517_AfterAugust2008-geo11.pdf

⁶ აღნიშნულ საკითხებზე ანალიზი შეგიძლიათ იხ. ბატონ ვ. აპავას პირად ვებგვერდზე www.papava.info განთავსებულ მის ინტერვიუებში, რომლებიც მან ქართულ და უცხოურ პრესას მისცა როგორც ომის დროს, ისე განსაკუთრებით ომის შემდეგ.

⁷ ეს პროცესი განსაკუთრებით 2009 წლის შემოდგომაზე გააქტიურდა, რასაც, შესაძლოა, პირველ ეტაპზე სომხეთის მიმართულების ტვირთნაგადის საქართველოდან თურქეთზე გადამისამართება მოჰყვეს.

⁸ ოფიციალური ინფორმაცია აღებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ვებგვერდიდან www.statistics.ge.

წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, შესაბამისად 9,1% და 8,8%-ით გაიზარდა, რაც შეესაბამებოდა არსებულ მაკროეკონომიკურ პროგნოზებს, მესამე კვარტალში ეკონომიკური დაცემა 3,9%, ხოლო მეოთხე კვარტალში 2,5% იყო. წლის პირველი ნახევრის ეკონომიკური ზრდის ხარჯზე მოხერხდა, რომ წელი, საბოლოო ჯამში, 2,3%-იანი ეკონომიკური ზრდით დასრულდა; უფრო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ეკონომიკა რეალურ მაჩვნებლებში 5,9%-ით, ხოლო მეორე კვარტალში 10,7%-ით შემცირდა.

ქვეყნის ბიუჯეტი, 2004 წლის შემდეგ, პირველად აღმოჩნდა ვერშესრულების საფრთხის წინაშე, ამდენად, ბიუჯეტის ხარჯებით ნაწილის ვალდებულებების დასაფინანსებლად გამოყენებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ მაისში ეკროობლიგაციების ემისიით მობილიზებული 500 მლნ აშშ დოლარი.

ამავე დროს, ომისაგან მიუწებული ზიანის ასანაზდაურებლად 2008 წლის ოქტომბერში ბრიუსელში შეიქრიბა დონორთა კონფერენცია, რომელმაც მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება, საქართველოსათვის ფინანსური კრიზისის პირობებში 4,545 მლრდ აშშ დოლარის გამოყოფის შესახებ, საიდანაც დაახლოებით 2 მლრდ დოლარი გრანტია, ხოლო დანარჩენი კრედიტი⁹. სწორედ ამ გადაწყვეტილების წყალობით, საქართველოს ეკონომიკამ როგორც ომის, ისე, განსაკუთრებით, გლობალური კრიზისის ზეგავლენა ნაკლებად მტკიცნეულად გადაიტანა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ ამხელა დახმარება მიიღო, ეროვნულ ბანკს სერიოზული ინტერვენციები სჭირდებოდა ვალუტის კურსის შესანარჩენებლად. ეროვნული ბანკის რეზერვები მკვეთრად მცირდებოდა (მხოლოდ ავგისტოში დაახლოებით 300 მლნ აშშ დოლარით)¹⁰, რის გამოც 2008 წლის 7 ნოემბერს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გაცვლითი კურსის ახალ ეკიილიძრიუმზე ჩამოყალიბების შესახებ, კერძოდ, თუ მანამდე 1 აშშ დოლარი 1,4-1,45 ლარი დირდა, მყისიერად მოხდა კურსის 1,65 ლარამდე გაზრდა. ამ დღეს ბატონმა ვ. პაპავამ “მწვანე პარასკევი” უწოდა¹¹.

სამწუხაორი, ყველა ის უარყოფითი შედეგი, რომლის მოტანაც ომს შეეძლო, ჯერ არ დამდგარა, მაგრამ მიმა გამოაჩინა ბევრი ისეთი პრობლემაც, რომელიც ხელისუფლების, ზოგიერთ შემთხვევაში, უგუნურმა, ხშირად კი დანაშაულებრივმა ქმედებამ გამოიწვია.

საუბარი, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების დოქტრინის არასებობას და რუსეთის მხრიდან, ომის რეალური საფრთხის პირობებში, სტრატეგიული აქტივების რუსულ სახელმწიფო კაპიტალზე პრივატიზებას შექება.

ომამდე 5 წლით ადრე, 2003 წლის 25 სექტემბერს სანქტ-პეტერბურგის საინჟინრო-ეკონომიკურ უნივერსიტეტში “საპატიო დოქტორის” წოდების მინიჭების ცერემონიაზე გამოსვლისას, რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემის, კ.წ. “PAO ЕЭС России”-ს მაშინდელმა ხელმძღვანელმა, ანატოლი ჩუბაისმა ჩამოყალიბა კ.წ. “ლიბერალური იმპერიის” იდეოლოგია¹², რომლის მთავარი ამოსავალი წერტილი არის პოსტსაბჭოურ სივრცეში ეკონომიკური ბერკეტების გავლენით რუსეთის ლიბერალური იმპერიის შექმნა.

ეს იდეოლოგია საქამაოდ ფართოდ აიტაცეს არა მხოლოდ რუსმა პოლიტიკოსებმა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ქართველმა ეკონომისტებმა, პოლიტიკოსებმა, პოლიტიკოსებმა დროულად მიანიშნეს ხელისუფლებას, რომ რუსეთი არ აპირებს საქართველოდან და სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან გასვლას და რომ ეკონომიკური ბერკეტები გამოყენებული იქნებოდა

⁹ aRniSnuli Tanxebis miRebis da gamoyenebis Sesaxeb informacia ixileT www.mof.ge.

¹⁰ წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებგვერდი: www.nbg.gov.ge;

¹¹ იხილეთ: www.papava.info.

¹² <http://www.rosbalt.ru/2004/12/23/190431.html>

პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ჩუბაისი ადიარებდა რომ სიარული წინ, ანუ “უკან საბჭოთა კავშირისაკენ” მხოლოდ ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით შეიძლებოდა მიღწეულიყო. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა, ეკონომიკურთან ერთად, სამხედრო ძალის გამოყენებაზეც არ თქვა უარი, საქართველოს მიერ მისთვის მნიშვნელოვანი (რომ ადარცევრი ვოქვათ სტრატეგიული) ობიექტების გადაცემა ამ იმპერიის ადგენისათვის სერიოზული დახმარება იყო.

2006 წლის მარტში გაზეთ The Iordan Times-ში გამოქვეყნდა ცნობილი ქართველი ეკონომისტის ლადო პაპავასა და პოპკინის უნივერსიტეტის (აშშ) შეუადგინებელი და კავკასიის ინსტიტუტის დირექტორის ფრედერიკ სტარის სტარისა “რუსეთის ეკონომიკური იმპერიალიზმი”, რომელ შიც ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე გაანალიზებული იყო რუსული ლიბერალური იმპერიის გაფართოება. სტარიაში ავტორებმა მსოფლიო გაფრთხილების მიზანით მაგრამ არ იცვლის სახეს, მაგრამ არ იცვლის შინაარსს.

რუსეთმა, რომელიც მდიდარია ენერგეტიკული რესურსებით, არაერთხელ დაადასტურა, რომ ვერ ეგუება საბჭოთა კავშირის დაშლას და ორპოლუსიანი სამყაროდან იმ პოლუსის ამოგდებას, რომელიც მის დედაქალაქზე გადიოდა. ამდენად, იმას, რასაც ვერ ახერხებს პოლიტიკური გზებით, მიაღწევს სხვა, მათ შორის ეკონომიკური და თუნდაც სამხედრო ინსტრუმენტებით.

პირველი ნაბიჯი, საქართველოს რუსულ იმპერიაში შესათრვებად გადაიდგა არა საქართველოში, არამედ სომხეთში, მაშინ, როდესაც რუსულმა სახელმწიფომ ვალების სანაცვლოდ ხელში ჩაიგდო სომხეთის ეკონომიკური ინფრასტრუქტურა. რუსეთმა სომხეთის რკინიგზაც დაიქვემდებარა და მას შორს-მიმავალი სახელი “სამხერეთის რკინიგზა” უწოდა. გასაგებია, რომ სომხეთი არ არის რუსეთის სარკინიგზო მეზობელი და მას, მინიმუმ, საქართველოს რკინიგზის ხელში ჩაგდება სჭირდებოდა რომ სომხეთის რკინიგზა მართლაც სამხერეთისა გამხდარიყო.

ამ მოსახრების გაგრძელებაა რუსეთის გადაწყვეტილება, ვლადიკავკაზი დააკავშიროს ცხინვალს სარკინიგზო მაგისტრალით¹³. თუ გავითვალისწინებთ, რომ ცხინვალი რკინიგზით დაკავშირებულია გორთან, მივიღებთ, რომ რუსეთი ქმნის “სამხერეთის რკინიგზის” შემოყლებულ ვარიანტს და სომხეთის უფრო მოკლე გზით დაუკავშირდება. ამასთან, რუსეთმა უკვე დაიწყო საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის რეაბილიტაცია.

უკვე ამოქმედდა გაზსადენი, რომელიც ცხინვალს ჩრდილოეთ კავკასიასთან აკავშირებს და მის გახსნაზე აღინიშნა, რომ ამ გაზსადენს სატრანზიტო (?) ფუნქცია ექნება.

საქართველოს ხელისუფლებამ არც იმას მიაქცია ურადღება, რომ რუსეთმა ამერიკულებისაგან შეიძინა თბილისის ენერგოსადისტრიბუციო ქსელი – თელასი, და სწორედ “PAO ЕЭС Россия” გახდა მინიმუმ თბილისში ენერგოდისტრიბუციის მონოპოლისტი, ხოლო საქართველოს ენერგოგენერაციაში – მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე სუბიექტი.

ამ პირობებში რუსეთისათვის ენგურუსების გადაცემა მოწმენდილ ცაზე მეხსის გავარდნას ჰქონდა. რეალურად საქართველოს ენერგეტიკა კვლავ რუსეთზე გახდა დამოკიდებული.

რუსეთის მიერ საქართველოსა და სომხეთის, და, ნაწილობრივ, აზერბაიჯანის ეკონომიკის დაუფლების პროცესს მოჰყვა ქართული ბიზნესაქტივობის შემცირება რუსეთში და რუსეთის მხრიდან საქართველოსათვის ეკონომიკური ემბარგოს გამოცხადება. გაურკვეველი და აბსოლუტურად თითოდან გამოწვი-

¹³ თუმცა მიმდინარე წელს რუსულმა მხარემ განაცხადა, რომ ეს საქმაოდ გრძელებადინი პროექტია.

ლი მიზეზებით მოხდა საქართველოდან დვინის, მინერალური წყდების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის შეტანის აკრძალვა. ოუ 10-12 წლის წინ რესერთი საქართველოს საგარეო გაჭრობაში ყველაზე მსხვილი პარტნიორი იყო, დღეს საქართველოდან რუსეთში განხორციელებული ექსპორტი საქართველოს მოედი ექსპორტის მხოლოდ 1,8%-ია, რაც ნომინალურ გამოსახულებაში 2-ჯერ ნაკლებია 1995 წლის შესაბამის პერიოდთან. მაშინ, როდესაც იმავე პერიოდთან შედარებით საქართველოს ექსპორტის დირექტულება 10-ჯერ გაიზარდა.

ამ მონაცემების ანალიზი იმის საფუძველს იძლეოდა, რომ საქართველო შედარებით ფრთხილი უნდა მოპყორობოდა სახელმწიფო ქონების იმ ნაწილის განსახულების ფორმის მიხედვით, რომლის გამოყენებაც საქართველოს სახელმწიფო ეროვნული წინააღმდეგ შეიძლება¹⁴.

თუმცა, როგორც რუსეთის პოლიტიკიზნებულიტის, ასევე საქართველოს პოლიტიკის მიერ გადადგმული ნაბიჯები მოწმობს, რომ ან არავინ არ აღიქვამდა სერიოზულად რუსული ლიბერალური იმპერიალიზმის საფრთხეს ან, უარესი, ნებისმ თუ უნებლივეთ ხელს უწყობდა ამ იმპერიის გაფართოებას.

ამას თუ დავუმატებოთ რუსეთის უკვე პრემიერ-მინისტრის, ვლადიმერ პუტინის განცხადებას, რომ რუსეთის სახელმწიფო ყველა ფორმით დაიცავს არა მხოლოდ მის მოქალაქეებს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში (რისი საბაბითაც ცხინვალის რეგიონში სამხედრო ძალა გამოიყენა), არამედ დაიცავს რუსეთის მოქალაქეთა საბუთოებასაც, ამით მან სერიოზული განცხადება გააკვთა და პრევენციულად გააფრთხილა საქართველო და მსგავს სიტუაციაში მყოფი ქვეყნები, რომ რუსულ კაპიტალს პრობლემები არ შეუქმნან.

IRB განისაზღვრება ორი მეთოდით: პირველი, ბანკი საკუთარი აქტივების მიხედვით აღგენს სესხის გაფუჭების ალბათობებს “ბაზელი II”-ის მეთოდოლოგიის გამოყენებით; და მეორე, სადაც ბანკი გაფუჭების ალბათობებს აღგენს საკუთარი პარამეტრების საფუძველზე. რაც შეეხება კაპიტალის მინიმალური მოთხოვნის სიდიდეს, “ბაზელ II”-ში ის არ შეცვლილა. მისი მნიშვნელობა პირველადი კაპიტალის მიმართ დარჩა 4%, ხოლო მოლიანი კაპიტალის მიმართ – 8%; საქართველოში 8% და 12% შესაბამისად. “ბაზელ II” ეხება და ცვლის ამ კოეფიციენტების მნიშვნელის დაანგარიშების წესს, ხოლო რაც შეეხება მრიცხველს, ის არ იცვლება.

დანერგვის და გამოყენების თვალსაზრისით, მატტივია რისკის სტანდარტული წონების გამოყენება, შედარებით როგორიცაა საბაზისო IRB-ის გამოყენება და გაცილებით როგორიცაა ინდივიდუალური IRB შექმნა და დანერგვა. ამ მიღებომის დანერგვა ბანკისაგან მოითხოვს დიდ ინვესტიციებს რისკების აღკვეთური მოდელის და მონაცემთა ბაზების შექმნაში. საერთოდ, მცირე ზომის ბანკებში, როგორიც საქართველოს ბანკებია, უკანასკნელი მიღებომის სრულად განხორციელება არ იქნება მიზანშეწონილი. “ბაზელი II” გათვლილია უფრო დიდი, მულტინაციონალური ბანკებისთვის, მაგრამ მისი ზოგადი კონცეფციის გათვალისწინება მიზანშეწონილი იქნება საქართველოს საბანკო სექტორში.

ამ ეტაპზე, როდესაც მკაფიოდ გამოჩნდა საქართველოს საბანკო სექტორის მთავარი პრობლემა, რომელიც სესხების სარისხის უკავშირდება, მინიმალურის მთავარი პრობლემა, რომელიც სესხების სარისხის უკავშირდება,

რი კაპიტალის მოთხოვნის მეთოდიკაში, ალბათ, გარკვეული ცვლილებები იქნება საჭირო. უმჯობესი იქნება სესხების მეტი რისკის კატეგორიებად დიფერენცირება და ამ კატეგორიების მიხედვით რისკის საერთო წონების დაღენა, რომლის მაქსიმალური მნიშვნელობა არ იქნება მხოლოდ 100%, არამედ შეიძლება მეტიც იყოს და ნაკლებიც. სესხის კატეგორიები, როგორც ბანკების ბალანსებიდან ჩანს, იქნება: (1) კორპორაციული სესხები, (2) მცირე და საშუალო საწარმოების სესხები, (3) საბინაო იპოთეკური სესხები, (4) კომერციული ფართის იპოთეკური სესხები, (5) სამომხმარებლო სესხები, (6) საკრედიტო ბარათის სესხები, და (7) ვადაგადაცილებული სესხები და ა.შ.

სასესხო პორტფელის მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის (MEC) მოთხოვნა დაითვლება შემდეგი ფორმულით:

$$MEC = \sum PD_i \times LGD_i \times EAD_i \times M_i$$

სადაც²⁶: PD არის სესხის გაფუჭების ალბათობა; LGD – თანხა, რომელსაც ბანკი დაკარგავს მსესხებლის გაკოტრების შემთხვევაში; EAD – გაკოტრების მიმართ დია პოზიცია, – მაგალითად, გაკოტრების შედეგად მსესხებელი საკრედიტო ხაზიდან რამდენ თანხას აითვისებს; M – აქტივის დაფარვამდე დარჩენილი ვადა.

რისკის წონების განსაზღვრას ზემოთ ჩამოთვლილი პარამეტრების შეფასება დასჭირდება²⁷. მნიშვნელოვანია PD პარამეტრის საიმედოდ შეფასება, რასაც ართულებს კორელაციის ფაქტორის არსებობა. კორელაციის პარამეტრი აუცილებლად გასათვალისწინებელია, რადგან მსესხებლების გაკოტრების ხდომილებები ურთიერთდამოკიდებულია. საერთო კონომიკური ფაქტორები გავლენას ახდენს უკლეა მსესხებელზე. კორელაციის პარამეტრი იცვლება ფირმის რეიტინგის მიხედვით. დაბალი რეიტინგის ფირმები მეტ ურთიერთდამოკიდებულების ხარისხს აჩვენებენ, ვიდრე მაღალ რეიტინგულები²⁸. საქართველოში კომპანიების საკრედიტო რეიტინგების სისტემა ჯერ არ შექმნილა და მითუფრო არც კორელაციებია შეფასებული. თუმცა, არსებობს სხვა ქვეყნების შეფასებები, რომელთა შორის მეტნაკლებად მსგავსი ეკონომიკის შემონაბეჭდის შეფასებების გამოყენება არ იქნებოდა აზრს მოყენებული.

ბანკები და მათი ზრდა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს უსაფრთხო, როცა რისკები სწორად იზომება და იზღვევა აღეპვატურად მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნით. სესხის გაფუჭებასთან დაკავშირებული დანაკარგის სტატისტიკური შეფასება, მაგალითად 99%-იანი ნდობის დონეზე, ნიშნავს, რომ ბანკის მინიმალური საზედამხედველო კაპიტალი 99% ალბათობით გადაფარავს ბანკის მიერ წლის განმავლობაში მიღებულ ეკონომიკურ ზარალს. ამ წესის დაცვა უზრუნველყოფს იმას, რომ, თუ ბანკს მოუნდება გაფართოვდეს მაღალრისკიან ბაზარზე, მას მოუწევს გაზარდოს კაპიტალი იმ ზომით, რა ზომაც საკმარისი იქნება ბანკის ეკონომიკური ზარალის მოცემული ალბათობით გადასაფარად.

როგორც ჩანს, რეგულირების როლი იზრდება საბანკო სექტორის განვითარების პარალელურად. ახალი ტენდენციების და ცვლილებების შესაბამისად საბანკო რეგულირება და ზედამხედველობა მუდმივად განახლების პროცესში უნდა იყოს. ხშირად, კონკურენცია ბანკებს უქმნის ცდუნებას, არასაქმარისი კაპიტალით გაფართოვდება მაღალრისკიან ბაზარზე. არც ბანკის დამტუნებლები და არც ბანკის მენეჯმენტია იმის საიმედო გარანტორი, რომ ბანკი დაცული იქნება ასეთი ქმედებისაგან და მას ყოველთვის ექნება აღებული რისკების ადეკვატური კაპიტალი. ასე რომ, საბანკო რეგულირების სისტემას, რო-

²⁶ International Convergence of Capital Standards, Basel Committee on Banking Supervision. 2004, p. 69.

²⁷ Moorad Choudhry, Bank Asset and Liability management, John Wiley & Sons, 2007, p.1187.

²⁸ Moorad Choudhry, Bank Asset and Liability management, John Wiley & Sons, 2007, p.1208

მელიც თავისუფალია ინტერესთა კონფლიქტისაგან, შეუძლია და უნდა იყოს საბანკო სექტორის სტაბილურობის უველავე საიმედო გარანტორი.

*Givi Lemonjava
Candidate of Economic Sciences*

BANKING LOANS: TENDENCY AND REGULATION

Summary

This article describes trends prevailing in development of Georgian banking sector. Specifically, dynamics in bank's credit portfolio. Growth in risky loans effected loan quality adversely. In this paper are discussed trends in quality of loans and changes in structure of credit portfolios. The analysis showed that, these changes increased significantly riskiness of bank's credit portfolio.

This paper also discusses control issues of credit risk. Regarding this, are described present rules of regulation and possible ways to improve them, which is based on Basel II concept and align risk-based capital with the economic risk. The issue is to find weights of loan's risk for each type of loan. These weights are to be then used to establish minimal capital requirements.

გურიათსარგებლობისა და გარემოს დაცვის ეკონომიკა

თინა ჩხეიძე

ეკონომიკურ მუცნიერებათა დოქტორი
ქართველი მუცნიერებათა კანდიდატი

დასაქმების დონის ამაღლებაზე ეპოლოგიური ზარტორის გავლენის ზოგიერთი ასპექტი საქართველოში

შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმება ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საკვანძო საკითხია. დასაქმების დაბალი დონე იწვევს საოჯახო მეურნეობების შემოსავლების სიმცირეს და მრავალ ნეგატიურ სოციალურ და ეკონომიკურ შედეგს.

თეორია, რომელიც ეფუძნება შრომის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განსახორციელებელ ღონისძიებებს და ეკონომიკურ მექანიზმებს, უნდა ითვალისწინებდეს ადამიანს, როგორც ეკონომიკური ზრდის მთავარი ფაქტორის და მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის მთავარ მიზანს.

საქართველოში მოსახლეობის გარანტირებული დასაქმების პრაქტიკა, რაც დიდი ხნის მანძილზე არ სებობდა, არაუფექტურად, მაგრამ მაინც წყვეტდა ამ პრობლემას. დღეს რადიკალ ურად განსხვავებული მდგომარეობაა და მოსახლეობის დასაქმების უზრუნველ საყოფად საზოგადოებისა და მთავრობის მხრიდან თვისებრივად განსხვავებული ხელვა და მიღებობა საჭირო.

ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვან ინდიკატორს დასაქმების სფეროში წარმოადგენს დასაქმებისა და უმუშევრობის დონის წინა პლანზე წამოწევა, რისი შედეგიც წარმოაჩქნს თუ რა მდგომარეობაა ქვეყანაში და რამდენად აუცილებელია სპეციალური ღონისძიებების შემუშავება და გატარება.

შრომის სფეროში არ სებული პრობლემების დაძლევა და ქმედითი ღონისძიებების გატარება შესაძლებელია მხოლოდ შრომის ბაზარზე რეალური მდგომარეობის ანალიზის და შეფასების საფუძველზე. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ხშირად არ იძლევა ობიექტური დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გარკვეულ ტენდენციებს მაინც ასახავს და მაჩვენებლების შედარების საშუალებას გვაძლევს, ამ მონაცემების საფუძველზე შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა საგანგაშოა და გადაუდებელი ღონისძიებების გატარებას მოითხოვს.

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, ქვეყანაში უმუშევრობის ღონე უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში გაიზარდა (ცხრილი I). მაგ., 2000 წლს უმუშევართა რაოდენობა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 10,3%-ს შეადგინდა, ხოლო 2007 წლს იმავე მაჩვენებელმა 13,3%-ს მიაღწია. ქ.ი. უმუშევართა რაოდენობა გაიზარდა 3%-ით. ასეთი მაჩვენებელი ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა – კრიტიკულია. განვითარებულ ქვეყნებში, რომელთა მოსახლეობა მნიშვნელოვნად აღემატება საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობას, ნებისმიერი მიზეზით უმუშევრების თუნდაც რამდენიმე ათასი კაცით მატება ამ ქვეყნისათვის ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელ ინდიკატორად ითვლება და, შესაბამისად, მთელი ძალისხმევა მიმართულია გამომწვევი მიზეზის აღმოსაფხვრელად, რადგან უმუშევრობის ღონე უშუალო კავშირშია მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელობასთან.

ცხრილი 1

**საქართველოს მოსახლეობის დასაქმების მაჩვენებლები
2000 – 2007 წლებში (ათასი გაცი, %)**

წლები	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
ეპონომიკურად აქტიური მოსახლეობა	2051,6	2113,3	2104,2	2050,8	2041,0	2041,0	1944,6	1965,3
დასაქმებული სულ	1839,3	1877,7	1839,2	1814,9	1783,3	1744,6	1671,4	1704,3
აქტიური დაქირავებული	684,3	654,6	650,9	618,5	600,9	600,5	500,5	625,4
თვითდასაქმებული	1043,9	1135,9	1184,9	1195,2	1189,2	1143,3	1095,2	1078,8
დასაქმების დონე, %	89,6	88,8	87,4	88,5	87,4	86,2	85,9	
უმუშევრები	212,2	235,6	265,0	235,9	257,6	279,3	279,2	261,0
უმუშევრობის დონე, %	10,3	11,1	12,6	11,5	12,6	13,8	14,0	
თვითდასაქმებულთა წილი დასაქმებულ- თა საერთო რაოდე- ნობაში, %	56,8	60,5	64,5	65,9	65,2	65,5	65,5	

**წყარო: საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის სამუშაო ძალის
გამოყლევის მასალები.**

როგორც აღვნიშნეთ, არსებული ოფიციალური მასალებიდან ირკვევა, რომ საქართველოში უმუშევრობის დონე სხვა ქვეყნებთან შედარებით მაღალია (მაგალითად, უმუშევრობის დონე (%)-ში) გერმანიაში უდრის 9,1; საფრანგეთში – 8,0; იაპონიაში – 4,0; აშშ-ში – 4,6; ისლანდიაში – 1,0; ტაილანდში – 1,7 და ა.შ), რაც დასაქმების სფეროში კარდინალურ ცვლილებებს მოითხოვს სახელმწიფო დონეზე უმუშევრობის შესამცირებლად და მოსახლეობის სოციალური მდგრადირების გასაუმჯობესებლად [3].

საქართველოს მოსახლეობის დასაქმების სფეროში არსებითი ცვლილება შეუძლია შეიტანოს ქვეყნის ეკოლოგიურმა ფაქტორმა. საყოველთაოდ ცნობილია მოსახლეობა იმის შესახებ, რომ ცნობების მაღალი დონე დამოკიდებულია ქვეყნის გეოგრაფიულ მდგრადირებაზე, ბუნებრივ კლიმატურ და ნიადაგობრივ პირობებზე, ბუნებრივი რესურსებით სიმდიდრეზე, ეკოლოგიურ მდგრადირებაზე და სხვა, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს მოსახლეობის ეფექტიან დასაქმებას.

მდგრადი ეკოლოგიური გარემო წარმოადგენს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ასპექტს და საფუძველს. არ არსებობს ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და განვითარების პერსპექტივა ბუნებრივი რესურსების გამოყენების გარეშე. ეკონომიკური განვითარებისაკენ მიმართ ულ ღონისძიებათა შორის არსებითი ადგილი უკავია ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და გარემოს დაცვის საკითხს. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და პლანირების მოსახლეობის სწრაფ ზრდასთან ერთად, გაიზარდა საზოგადოების მოთხოვნა ბუნებრივ რესურსებზე. სამუშაოები საქმიანობაში ერთვება სულ უფრო მეტი და სულ უფრო ახალი ბუნებრივი რესურსი. დღეისათვის საზოგა-

დოებასა და ბუნებრივ გარემოს შორის მიმდინარე ურთიერთქმედებამ განაპირობა გლობალური, საერთო საკაცობრიო პრობლემა – ეკოლოგიური პრობლემა. იგი დაკავშირებულია ადამიანის საცხოვრებელი გარემოს ხარისხის გაუარესებასთან, რაც გამოწვეულია ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის პროცესების სწრაფი განვითარებით. მრეწველობის განვითარებამ და სოფლის მეურნეობის ინტენსიუფიზიზაციის გარემოს ღრმა ცვლილებები. ბიოსფერულში გამუდმებით ირდვევა ადამიანის სამეურნეო კვლავში არმოქბასა და ბუნების კვლავშარმოებას შორის ურთიერთკავშირი. ამის მიზეზი ის არის, რომ გადახელია ხმელეთის 10%-ზე მეტი, განხეხილია ტექნიკი, შენდება კაშხალები და არხები, ინტენსიურად გამოიყენება სასუქები და შესაძიმი კატები, გარემოში გამოიტყორცხება დიდი რაოდენობის მავნე ნივთიერებები. ფართო მასშტაბით წარმოებს წიაღისეულის მოპოვება და გადამუშავება, ილევა ტრადიციული ენერგეტიკული და სანედლეულო რესურსები. მაგალითად, ბუნებაზე ზეწოლამ და ეკოლოგიური ბალანსის დარღვევები გამოიწვია ატმოსფეროს ჰაერში ნახშიროჟანგის და მეთანის რაოდენობის მატება (კ.წ. სასათბურო ეფექტი). 1960 წლიდან 1990 წლამდე ჰაერში ნახშიროჟანგის რაოდენობამ მიაღწია 315 PPM-დან 350 PPM-ს, მეთანის რაოდენობა კი თოთქმის ორჯერ გაიზარდა, რაც დაკავშირებულია სათბობის წვასთან, ტყის მოსპობასთან, ჰუმურის მინერალიზაციასთან და სხვ. თუ ეს პროცესი ასე გაგრძელდა და ნახშიროჟანგის კონცენტრაციამ მიაღწია 600 PPM-ს, მაშინ ბიოსფეროს ტემპერატურა 2025 წლისათვის აიწევს 1° C-ით, ხოლო XXI საუკუნის ბოლოს – 3° C-ით, რაც გამოიწვევს ამინდში ცვლილებებს, კერძოდ ცხელი დღეების მომატებას, გვალვების ხანგრძლივობას, რომელსაც შეცვლის კოკისპირული წიგმები, ქარიშხალი, შტორმი და ა.შ. შეიძლება ნალექების რაოდენობა შემცირდეს ძირითადად მარცვლეულის მომყვან ქვეყნებში მაგ., აშშ-ში, ჩინეთში, ყაზახეთში, მოხდეს ძლიერი გაუდაბნოება აფრიკასა და შუა აღმოსავლეთში. რაც ტროპიკული ტექნიკის დაღუპვის მიზეზი გახდება.

ბუნებრივი რესურსების გამოლევის და გარემოს დაბინძურების საშიშროებამ განაპირობა საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთქმედების ახალი ფორმის – ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის პრობლემის გადაწყვეტის აუცილებლობის მოთხოვნა.

საქართველოს ხელისუფლება აღიარებს, რომ ეკოლოგიური პრობლემა განხილული უნდა იქნეს, როგორც ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტრატეგიის განუყოფელი ნაწილი. 1994 წლის ოქტომბრში საქართველო შეუერთდა კონცეფციას კლიმატის ცვლილების შესახებ. საქართველოს პრეზიდენტის №630 ბრძანებულების თანახმად, შეიქმნა კლიმატის ცვლილების პრობლემათა შემსწავლელი კომისია. 1996 წელს მიღებულ იქნა კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, რომელმაც შექმნა სამართლებრივი საფუძველი გარემოს დაცვის პოლიტიკის შემუშავების შესახებ.

ქვეყნის ეკონომიკური ზრდა-განვითარება კი მოითხოვს ადეკვატური რაოდენობის ბუნებრივი რესურსების ჩართვას წარმოებაში, რაც, თავის მხრივ, იწვევს ბუნებრივი რესურსების გამოლევას. თანამედროვე ეკოლოგიური სიტუაცია ცხადყოფს, რომ ასე გაგრძელება, ანუ ბუნებაზე სტიქიური, უკონტროლო ზემოქმედება მიუდეველია, ამიტომ საჭიროა „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონის თანახმად, საქართველოს ბუნებრივ რესურსებზე – მიწაზე, წყალზე, ჰაერზე, ტყეზე, წიაღისეულზე და ა.შ. დაწესდეს მონიტორინგი. მოხდეს არსებული ბუნებრივი რესურსების აღწერა და კონტროლი.

აღნიშნულ რესურსებზე მონიტორინგი დიდძალ ადამიანურ რესურსს მოითხოვს. თითოეული გარემოზე სადამკვირვებლო სადგური და საგუშაგო 24 საათიანი დაკვირვები სათვის მინიმუმ სამკაციანი ჯგუფის მორიგეობას საჭიროებს.

თუ თვალს გადავავლებთ კავკასიის ისტორიას გარემოს დაცვის თვალსაზრისით, ენახავთ, რომ ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის დროს 1844 წ. კავკასიაში მოქმედებდა ობსერვატორია, რომელიც ანალოგიურ თრგანიზაციათა შორის უძველესია. 1900 წელს საქართველოს ტერიტორიაზე თრგანიზებული იყო 72 მეტეოროლოგიური სადამკვირვებლო პუნქტი (სადგური – საგუშაგო). ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ამ სადგურების უმეტესობა დაიკეტა. 1925 წლიდან დაიწყო მათი აღდგენა. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში (მიუხედავად ომისა) ასეთი პუნქტების რაოდენობა 300-ს აღემატებოდა. თუმცა საქართველოს მოედ ტერიტორიას მაინც ვერ ფარავდა.

1990 წლის დასაწყისში, ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობის გამო, დაიწყო ამ პუნქტების მკეთრი შემცირება. უკანასკნელი შემცირება გატარდა 2006 წელს. დღეისათვის საქართველოს მასშტაბით მოქმედებს სულ 10 მეტეოროლოგიური სადგური, რაც, საქართველოს როგორც რელიეფური და კლიმატური მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, მეტად მცირეა.

რაც შეეხება პიდროლოგიურ დაკვირვებებს, საქართველოში ის დაიწყო 1904 წლიდან (თბილისში მუშტაიდის ბაზობა მუშტაობდა მტკვრის პიდროლოგიური საგუშაგო). 1914 წლიდან საქართველოს მდინარეებზე მოქმედებდა 34 საგუშაგო. 1930 წლიდან 1980 წლამდე სექტორში მთლიანად იყო 140–160 საგუშაგო. 1990 წლამდე ქვეყანაში მოქმედებდა 480 პიდროლოგიური საგუშაგო. დღეისათვის კი დარჩა მხოლოდ 22.

საქართველოში გლაციოლოგიური დაკვირვება დაიწყო 1950 წლიდან. 1990 წლის დასაწყისისათვის მყინვარებზე გახსნილი იყო 800-ზე მეტი სადამკვირვებლო პუნქტი. წლის თბილ პერიოდში ექსპედიციური გზით ამ პუნქტებზე წარმოებდა გლაციოლოგიური დაკვირვებები, რომელთა შედეგები ყოველ 5 წლიდანში ერთხელ ქვეყნდებოდა იუნესკოს მიერ გამოშვებულ კადასტრში. 90-იანი წლიდან ეს დაკვირვება შეწყდა.

რაც შეეხება აგრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს, იგი დაიწყო XIX ს. 80-იან წლებში. XX ს-ის დასაწყისში სტაროსელსკის მიერ საქართველოში გაისხა სპეციალური ლაბორატორია ვაზზე დასაკვირვებლად. 1945 წლიდან საქართველოს პიდრომეტეოროლოგიურ სამსახურებზე დაიწყო სისტემატური აგრომეტეოროლოგიური დაკვირვებები ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო ქალბურებსა და საძოვრებზე. 90 წლისათვის სასოფლო-სამეურნეო რაიონებში განლაგებულ მეტეოროლოგიურ სადგურებში აწარმოებდნენ აგრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს. სადგურებთან წარმოებდა ნიადაგის ტექშემცვლელობის ინსტრუმენტაციული გაზომვები. გამოყოფილი იყო მოტოციკლები და შესაბამისი აპარატები. რეგულარულად წარმოებდა სასოფლო-სამეურნეო მინდვრებისა და საძოვრების ავტო და ავიაშემოვლები. მიღებული შედეგების საფუძველზე იდლეოდა რეკომენდაციები სოფლის მეურნეობის მუშაკებისა და მწყემსებისათვის. დგებოდა ფენოლოგიური და მოსავლიანობის პროგნოზები, რაც დღეისათვის აღარ კეთდება.

მსოფლიო ბანკის გაანგარიშებით (2006), საქართველოში მეტეოროლოგიური სისტემის აღსადგენად და გადასაიარაღებლად საკმარისი იქნება 8 მილიონი დოლარი, რომლის თითოეული დახარჯული დოლარი 6–8 დოლარის მოგებას მოიტანს.

გარდა გარემოს მონიტორინგისა, დასაქმების სფეროში არსებითი წვლილი შეუძლია შეიტანოს საქართველოში ტურიზმის განვითარებამ, რისთვისაც ასევე აუცილებელი პირობაა ეკოლოგიურად სუფთა გარემო.

როგორც წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალებიდან ირკვევა, გარემოს დაცვის ყველა სფეროში შეინიშნება სამუშაო აღილების შემცირება. აქედან გამომდინარე შეიძლება დაგასასვნათ, რომ, თუ საქართველოში გარემოს დაცვის საკითხს სათანადო უურადღება მიექცევა და არსებული სამსახურების რეა-

ბილიტაცია მოხდება, შესაძლებელი იქნება დიდხალი სამუშაო ადგილების
შექმნა, თუნდაც იმ დონეზე, რაც იყო 1945 წლისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მდგრადი განვითარების ეროვნული შეფასების ანგარიში. გარემოსა და ბუნებრივი დაცვის სამინისტრო. 2007.
2. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის სამუშაო ძალის გამოკვლევის მასალები. 2007.
3. მ. კვირკველია. დასაქმების პრობლემის გადაწყვეტის მიმართულებები. საქ. სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრი
4. Поздняков В.Я. Экономика природопользования. М – В. 2003.

Tina Chkheidze
Doctor of Economic Sciences
Ketevan Kveladze
Candidate of economic Sciences

SOME ASPECTS OF INFLUENCE OF ECOLOGICAL FACTOR ON THE INCREASE OF EMPLOYMENT LEVEL IN GEORGIA

Summary

Employment of able-bodied population is the basis of economic growth and development. By means of rehabilitation and reconstruction (even to the level of 1945) of observation posts (stations and posts) on natural resources of the country it will be able to create many working places in Georgia.

ეკონომიკის სახელმწიფო რეზულტატები

ნუნე ქისტაური
ეკონომიკურ მუცნიერებათა კანდიდატი
მედა მელაშვილი
მუცნიერი თანამშრომელი

სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა საჩართველოში

თანამედროვე პირობებში, როდესაც სულ უფრო მწვავდება საყოველთაო კონკურენციული ბრძოლა გასაღების ბაზრების მოსაპოვებლად, ძალიან სწრაფი ტექნიკური იურიდიკული იურიდიკული რესურსები, მეტად უპერსპექტივო ხდება ეკონომიკური ზრდის “სანედლეგულო სექტორზე” ორიგინაცია, რასაც ადგილი აქვს თითქმის ყველა პოსტკომუნისტურ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. სამეცნიერო ეკონომიკურ ლიტერატურაში დიდი ხანია ფქი მოიკიდა ტერმინმა “ინტელექტუალური კაპიტალი”. სშირად ვხვდებით მოსაზრებას იმის შესახებ, რომ დღეს ეკონომიკური ზრდა იგივეა, რაც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვა და წარმოების ფაქტორების ინტელექტუალიზაცია. სხვადასხვა მონაცემებით, უახლოესი 15-20 წლის განმავლობაში მეცნიერებატევადი და მაღალ ტექნოლოგიური საქონლის რეალიზაცია მსოფლიო მასშტაბით 10-ჯერ გადააჭარბებს “სანედლეგულო სექტორის” პროდუქციის საერთო დირექტულებას. ყოველივე ეს მიუთითებს ეკონომიკის სწორედ სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური სექტორის პრიორიტეტული, წინმსწრები განვითარების აუცილებლობაზე. მეცნიერების განვითარება ეკონომიკური განვითარების საფუძველთა საფუძველია. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური განვითარების პროცესი – ეს არის ინოვაციათა განვითარების პროცესი [1, გვ.22].

ნიშანდობლივია, რომ აშშ-ს ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ თავისი ერთ-ერთი პირველი სერიოზული მოხსენება სწორედ ამერიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომაზე წარმოადგინა (2009 წლის 27 აპრილი) და ასე დაასათაურა: “მეცნიერება გვჭირდება, როგორც არასდროს”. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის ეკონომიკური განვითარების ტემპების შენელება მხოლოდ მეცნიერების და განათლების განვითარების ტემპების შენელებამ გამოიწია. მისი აზრით, სამეცნიერო ინოვაციები იძლევა განვითარების და აუგვავების შანსს და ეს შანსი არა მხოლოდ ამერიკამ, არამედ მთელმა მსოფლიომ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს, ვიდრე გვიან არ არის. დღეს მეცნიერება ყველაზე მეტად, ვიდრე თლესმე, საჭიროა ჩვენი კეთილდღეობის, ჩვენი უშიშროების, ჩვენი ჯანმრთელობის და ჩვენი ცხოვრების სარისხის შენარჩუნებისათვის [7].

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოები, რომლებიც ირჩევენ ეკონომიკის განვითარების ინოვაციურ მოდელს (გზას), ეფექტურად იყენებენ სახელმწიფო ინოვაციურ პოლიტიკას.

სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პროგრამის ნაწილს, რომელიც გამოხატავს სახელმწიფოს დამოკიდებულებას ინოვაციური საქმიანობისადმი. სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ინოვაციური პროცესების აქტივიზაციაზე ეკონომიკის ყველა სფეროში; საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებაზე; ხელსაყრელი პირობების შექმნაზე სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალისა და ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების საბაზრო მექანიზმების უფასოზე გამოყენებისათვის; ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარებაზე; სამეცნიერო-ტექნიკური პერსონალის შესაბამისი უნარების შესწავლასა და ეფექტურ გამოყენებაზე და ა.შ.

ამჟამად მეცნიერებაზევადი პროდუქციის 80-90%-ზე მეტს მაღალგანვითარებული ქვეწები აწარმოებენ, თუმცა უკანასკნელ პერიოდში ზოგიერთი ახალიდებუსტრიული ქვეყნა (ჩინეთი, პონ-კონგი, სინგაპური, ტაივანი) მთლიან შიდა პროდუქტში ინვაციებზე დანახარჯებით მიუახლოვდა დასავლეთ ევროპის ქვეწების მაჩვნებელს. ამასთანავე, სამხრეთ კორეის განვითარების მაღალი დონე მიღწეულია მეცნიერებისა და მეცნიერებაზევადი დარგების განვითარებით. აქ მშპ-ში სკსს-თა (სამეცნიერო-კვლევითი საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები) ხარჯების წილმა მიაღწია 2.7%-ს (აქ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული საფინანსო თუ საგადასახადო შედაგათებით გასული საუკუნის 80-იან წლებში შეიქმნა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, სარისკო ფირმები).

ახალმა ინდუსტრიულმა ქვეწებმა განვითარების მაღალ დონეს მიაღწიეს სწორედ მეცნიერებაზევადი და მაღალ ტექნოლოგიური წარმოების განვითარებით. ეს კი განხორციელდა სახელმწიფო პროექტიონისტული პოლიტიკის გამოყენებით, ექსპორტის სტიმულირებით, იმპორტის შეზღუდვით საბაზო თუ ადმინისტრაციული ბარიერებით.

აშშ-მა ეკონომიკის აღმავლობას მიაღწია სახელმწიფოს აქტიური ზემოქმედებით. აქ ტექნოლოგიური განვითარება გახდა ქვეწის ეკონომიკური ზრდის საფუძველი და ამ სფეროში განხორციელდა შემდეგი ძირითადი მიზნები: შეიქმნა სამეწარმეო კლიმატი ინოვაციური საქმიანობის გაფართოებისა და კერძო სექტორის კონკურენტულობის ამაღლების მიზნით, მოხდა სკსს-ების სტიმულირება ახალ ტექნოლოგიათა ბაზაზე, შეიქმნა საუკეთესო ინფრასტრუქტურა, განხორციელდა ინვესტიციები მრეწველობისა და ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით, ასევე განხორციელდა სამხედრო და სამოქალაქო წარმოების ინციდენტთა მოწყობიდან მაღალ კალიფიციური შრომითი რესურსები, რომელებიც მონაწილეობენ ინოვაციური ეკონომიკის განვითარებაში.

რუსეთში ჩამოყალიბდა ინოვაციური სტრუქტურები (საწარმოო, ანალიტიკური, კონსალტინგური), შეიქმნა სარისკო ფირმები, დაწესდა შედაგათები (საგადასახადო) ინოვაციებზე, განხორციელდა ინოვაციური პროექტების საკონკურსო წესით დაფინანსება, შეიქმნა ინოვაციური სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა.

იაპონიაში მიმდინარეობს ინოვაციური პროგრამების სახელმწიფო მსარდაჭერა. საფრანგეთში ხორციელდება გამოყენებითი კვლევების სახელმწიფო პროგრამები.

ამრიგად, მსოფლიოს მთელი რიგი ქვეწები გონივრული ინოვაციური პოლიტიკის მეშვეობით აღწევევნები მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზრდას.

ინოვაციური სფეროს განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ფინანსური სასრები პირველ რიგში უნდა გამოყოს სახელმწიფომ, ასევე სარისკო ორგანიზაციებმა, საპრეზიდენტომ, ცალკეულმა პიროვნებებმა, სადაზღვევო კომპანიებმა და სხვამ. მიზანშეწყობილია ენერეტული (სარისკო) ფირმების შექმნა. ამასთან, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამები უნდა დაფინანსდეს ბიუჯეტიდან და სპეციალური ფონდებიდან. გარდა ამისა, სახელმწიფო უნდა შექმნას სათანადო სამართლებრივი ბაზა სარისკო ფირმების ფორმირება-განვითარებისათვის.

მაშასადამე, აუცილებელია სახელმწიფომ ინოვაციური სფეროს განვითარებისათვის შექმნას ხელსაყრელი გარემო: საგადასახადო, საკრედიტო, საპატენტო, საბირჟო, სალიცენზიო, ექსპორტის, იმპორტის და სხვა სფეროებში.

თანამედროვე პირობებში მტკ-ის მიღწევათა გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს ჩვენი ქვეწის განვითარების სტრატეგია და ჩამოყალიბდეს მეცნიერული გამოკვლევებისა და დამუშავებების მირითადი პრიორიტეტული მიმართულებები.

საქართველოს სახელმწიფოებრივი სასიცოცხლო მნიშვნელობის ძირითადი პრობლემები (ქვეწის თავდაცვისუნარიანობა, სახელმწიფო უსაფრთხოება,

ტრანსპორტის, კომუნიკაციური სისტემის, ენერგეტიკის, კავშირგაბმულობის, ინფორმაციული სისტემის განვითარება და სხვა) უნდა გადაიჭრას მტკ-ის მიღწევათა გამოყენებით, რის საფუძველზეც უნდა განისაზღვროს გამოკვლევების პრიორიტეტული მიმართულებები (ე.ი. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგია ინფაციურ საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს).

საქართველოს ეკონომიკის აღმავლობის მისაღწევად ფართოდ უნდა დაინერგოს ახალი და უახლესი ტიპის ტექნიკა-ტექნოლოგიები. ეს კი მოითხოვს საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნას, ბირჟების, ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, სპეციალიზებული მიზნობრივი ფონდების, სარისკო-ინოვაციური ფირმების, დიზინგური, მარკეტინგული, აუდიტორული, ინჟინირინგული და სხვა სახეობის ფირმათა ჩამოყალიბებას.

აუცილებელია, სახელმწიფომ, საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარების ნორმატიულ-საკანონმდებლო ბაზის სრულყოფისას, ორიენტაცია აიდოს ინოვაციური პროცესების დაჩქარებაზე, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაზე. ამასთან, მეცნიერებასა და წარმოებას შორის ურთიერთობა უნდა აიგოს ურთიერთსარგებლიანობის პრინციპით, პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების შერწყმის საფუძველზე. სახელმწიფო რეგულირება ძირითადად ირიბი მეთოდებით (საგადასახადო, საბაჟო, საკრედიტო ინვესტიციები, შედაგათები და სტიმულები და სხვა) უნდა ხორციელდებოდეს.

კომუნიკაციური სისტემების მეშვეობით ხდება სიახლეთა გავრცელება, ფირმებთან, შეუმავლებთან, მყიდველებთან, საზოგადოების ფართო მასებთან ურთიერთობის დამყარება (რეკლამის, საკუთრივ გაყიდვის, გასაღების სტიმულირებით და სხვა). ამ დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივ აზრს, რომლის ჩამოყალიბება შესაძლებელია სემინარების ჩატარებით, საეციალურად გამოცემებით და იტერაციურით, საჯარო ჩვენებებით, გამოფენა-გაყიდვებით, საქველმოქმედო პროგრამების მეშვეობით და სხვა).

ამრიგად, სიახლეთა გავრცელება უნდა ხორციელდებოდეს როგორც კომუნიკაციური, ასევე მასტიმულირებელი (პრემირება, გარანტიების მიცემა ფულის უკან დაბრუნებაზე, უფასო ნიმუშების წარდგენა, საქონლური კრედიტი და სხვა) ღონისძიებებით.

საქართველომ უნდა გაიზიაროს სხვა ქვეყნების (იაპონია, კორეა, ჩინეთი და სხვა) პრაქტიკაში არსებული გამოცდილება. მან ორიენტაცია უნდა აიდოს მეცნიერებაზე და პროდუქციაზე, განახორციელოს საპატენტო და სალიცენზიო პროგრამები (ამ მხრივ განსაკუთრებით სამაგალითოა იაპონია, სადაც მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის განვითარება განხორციელდა დასავალეთ ეკონომიდან და ამერიკიდან პატენტებისა და ლიცენზიების შექმნის გზით. არსებული მდგრმარეობის დრმა მეცნიერული ანალიზის შემდეგ აქ მოხდა ახალი და ძველი ტრადიციული დარგების თვისებრივად უნივერსალური სტრუქტურული სინთეზი, რამაც წარმოშვა ახალი მაღალტექნოლოგიური დარგები).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოწინავე განვითარებული ქვეყნები სამეცნიერო და ტექნოლოგიური განვითარებისათვის საქმაოდ სოლიდურ თანხებს გამოიყენ (მტკ-ის 2%-ზე მეტს).

განვითარებად ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 0.6-0.8%-ია. ამ ქვეყნებში, როგორც წესი, სუსტადაა განვითარებული სამეცნიერო პოტენციალი (ზოგან საერთოდაც არ გააჩნიათ) და ამ ქვეყნების მთავრობათა ძირითად მიზანს სწორედ საკუთარი სამეცნიერო პოტენციალის შექმნა წარმოადგენს. ეს საქმაოდ რთული და სანგრძლივი პროცესია. ამასთან, მეტად ძვირად დირექტულიც. მაგრამ, რაც უველაზე მთავარია, მისი შექმნა მხოლოდ მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყოფით შეუძლებელია. მისი შექმნა დამოკიდებულია ეროვნულ თავისებურებებზე, პოტენციალსა და მთელ რიგ სხვა სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორზე.

საქართველოში წინა წლებში მეცნიერების განვითარებისათვის ეროვნული შემოსავლის 2.5% იხარჯებოდა (ახლა ეს მაჩვენებელი 0.2%-ს შეადგენს), ეს არ არის მაქსიმუმი იმისა, რაც სასურველი იყო. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, საქართველოში ჩამოყალიბდა და სწრაფი ტექნიკით ვითარდებოდა სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულების უძლიერესი სკოლები. დღეს ჩვენს ქვეყანას (განსაკუთრებულად ზოგიერთი ქვეყნისაგან, სადაც გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის ჩამოყალიბება) ესაჭიროება არა მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის შექმნა, არამედ უკვე არსებულების განვითარება და ამისათვის სახელმწიფოს დიდი მხარდაჭერა. საქართველოში მეცნიერება, მიუხედავად უმძიმესი პირობებისა, ჯერ კიდევ არსებობს და აგრძელებს განვითარებას, ჯერ კიდევ შენარჩუნებულია მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი. აუცილებელია, სახელმწიფოს პოლიტიკა მიმართულ იქნეს დაგროვილი სამეცნიერო პოტენციალის შენარჩუნება-განვითარებაზე. სათანადოდ უნდა განვითარდეს ფუნდამენტური მეცნიერება და ინოვაციები ისეთ სფეროებში, როგორიცაა: ეროვნული უსაფრთხოება, სოციალური სფერო, ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრა, აქცენტი უნდა გაეკეთდეს სამეცნიერო კადრების შენარჩუნებაზე. საჭიროა კაპიტალის მფლობელმა სექტორმა ინვესტიციები ჩადოს ინოვაციური სფეროს განვითარებაში, ვინაიდან ინვესტიციები ინვაციებში – ეს მომავლის ინვესტიციებია. ეს ის ინვესტიციებია, რომლებიც შედეგს მოგცემენ ერთი, ხუთი, იქნება ათი წლის შემდეგ ან კიდევ უფრო გვიან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიღებული შედეგი მრავალჯერ გადაწონის მასზე გაწულ დანახარჯებს. ამიტომაც ამ პროცესის მართვა სახელმწიფომ უნდა აიღოს ხელში და მაქსიმალურად დააინტერესოს და ჩართოს მასში კერძო სექტორი. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ინოვაციური სფეროს სუბიექტების დინამიურ განვითარებას, არამედ მთლიანად მთელი ქვეყნის განვითარებას და წინსვლას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. აბესაძე, რ. სარჩიმელია, ნ. არევაძე, მ. მელაშვილი. ეკონომიკური განვითარებისა და პროგნოზირების პრობლემები, თბილისი, “უნივერსალი”, 2004.
2. აბრალავა ა. გ. გზა მაღალტექნოლოგიური ეკონომიკისაკენ. თბილისი, “თბილისის უნივერსიტეტის გამოცემლობა”, 2001.
3. Инновационный менеджмент (Под ред.проф. В.Я. Швандара, проф. В.Я. Горфинкеля). М., Вузовский учебник, 2004.
4. ნაკიძე გ. საინვაციო მეცნიერები. თბილისი. გამოცემლობა “ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2004.
5. ჩიქავა ლ. ინოვაციური ეკონომიკა. თბილისი. “სიახლე”, 2006.
6. Лимитовский М., Сичинава Ал. Приоритетные направления инновационной политики Грузии.
7. Remarks by the president at the National Academy of Sciences Annual Weeting The white Heuse Office of the Prek Secretary April 27, 2009.
8. <http://www.scientific.ru/trv/2009/029/obama.html>

Nunu Kistauri

Candidate of Economic Sciences

Medea Melashvili

Scientific Worker

THE STATE INNOVATION POLICY IN GEORGIA

Summary

World experience shows that states selecting innovation model of development of economy, efficiently use government innovative policy, which should be directed on the activation of innovative processes in all the spheres of economy; the improvement of investment climate; the creation of favourable conditions to use efficiently market mechanisms of stimulation of scientific – technical skills and innovative activity; the development of innovative infrastructure ; the study and efficient use of relevant skills of scientific-technical staff etc. The government has to create favourable environment for the development of innovative sphere: legislative , taxation, credit, patent, exchange, license, export, import etc. It should pursue such policy which will provide not only the maintenance of industrial – technical skills but its maximum action , transformation and adequate reformation.

აბრარ ული ფარმოვანა, სასურსათო უსაზრთხოება

თეგნგიზ ქავთარაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

სურსათის ფარმოვანა და სასურსათო უსაზრთხოება

საქართველოს რესპუბლიკას უკავია 69,7 ათ. ქვ. ქმ ფართობი, საიდანაც დაბლობზე მოდის მთლიანი ტერიტორიის მხოლოდ 13,0 %, მთისწინებზე – 33,4 %, მთაზე – 53,6 %.

სოფლის მეურნეობაში გამოიყენება მთელი ტერიტორიის მხოლოდ 44%; სასოფლო-სამეურნეო საგარეულების სტრუქტურაში სახნავ მიწებზე მოდის 24,1%, მრავალწლიან ნარგავებზე – 10%, სათიბებსა და სამოვრებზე – 65,6%.

საქართველო მცირებიწიანი ქვეყანაა, მოსახლეობის ერთ სულზე მოდის 1,6 ჰა დამუშავებაში მყოფი მიწა და 1,2 ჰა სახნავი.

ქვეყანა მიწათმოქმედების რისკის ზონაშია მოქცეული. სასოფლო-სამეურნეო კულტურების გარანტირებული მოსავლის მისაღებად რწყვასთან ერთად (აღმოსავლეთ საქართველოში), აუცილებელია დაშრობითი სამუშაოების ჩატარება (დასავლეთ საქართველოში).

საქართველოში იწარმოება მრავალი სახის როგორც საშინაო მოხმარების, ისე საექსპორტო დანიშნულების პროდუქცია. საქართველოს ეკონომიკურ პოტენციალზე მსჯელობისას უპირატესად იგულისხმება კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობა. მისი განვითარების მასშტაბებს განსაზღვრავდა ქვეყნის გეოგლიმატურ პირობებზე დამოკიდებული რესურსები უზრუნველყოფა, ტრადიციები, მოხსოვნები და სხვა ფაქტორები [1].

ცენტრალიზებული გეგმური სისტემის დეინტეგრაციამდე სექტორში იწარმოებოდა ქვეყნის სამრეწველო პროდუქციის 40%-ზე მეტი. იმ პერიოდის ფასების პარიტეტის გათვალისწინებით, საკვები პროდუქტების ექსპორტის დირექტულება ორჯერ აღემატებოდა იმპორტის მოცულობის დირექტულებას. 1983 წლის მონაცემებით, საქართველოში წარმოებული პროდუქციის 25,17% ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში და მის ფარგლებს გარეთ იგზავნებოდა, ხოლო საქართველოში მოხმარებული პროდუქციის 26,1% იმპორტს შეადგენდა. 1989 წელს ექსპორტირებული იყო 5,5 მლრდ მანეთის პროდუქცია, ხოლო იმპორტირებული პროდუქციის მოცულობამ 3,4 მლრდ მანეთი შეადგინა. როგორც ჩანს, ამ პერიოდში საფაქტო ბალანსის საღილო დადგებითი იყო და იგი 2,1 მლრდ მანეთს შეადგენდა. აქევე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ბალანსის ფორმირებას, ექსპორტის საქმიან დიდ მოცულობასთან ერთად, ხელს უწყობდა საბჭოთა კავშირში არსებული ფასებიც. აქრძოდ, შიდა ბაზარზე კვებისა და მსუბუქი მრეწველობის პროდუქციაზე ფასები მნიშვნელოვნად აღემატებოდა მსოფლიო ფასებს, მაშინ, როდესაც მსოფლიო ფასებთან შედარებით ენერგომატარებლებსა და ნედლეულზე შიდა ფასები გაცილებით ნაკლები იყო. ამასთან, საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქციის მხოლოდ 6,5% ხვდებოდა საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ [2].

შიდა ბაზარი მოიხმარდა წარმოებული დაფასოებული ჩაის 1%-ს, ბრენდის (კონიაკის) 8%-ს, ეთერზეობის 10%, შამპანური ღვინოების 25%-ს, ხილბოსტნეული კონსერვების 24%-ს, ყურძნის ღვინოების 36%-ს, მინერალური წყლების 40%-ს. ამდენად, სექტორი მნიშვნელოვანწილად ორიენტირებული იყო საექსპორტო პროდუქციის წარმოებაზე და არსებული სამრეწველო პრტენციალის გამოყენების მაღალი დონით ხასიათდებოდა.

ცნობილი პოლიტიკური ხასიათის მოვლენებმა და ეკონომიკური პროცესების მართვაში ჩამოყალიბებულმა გადაუქრედებოდა პრობლემებმა განაპირობა და-

რგის მაჩვენებელთა მნიშვნელოვანი გაუარესება – საქართველოს კვების მრეწველობაში და კარგა პოზიციები როგორც საერთაშორისო, ისე შიდა ბაზარზე.

საკმარისია აღინიშნოს, რომ 1985-1990 წლებში საქართველოს წილი საქვები პროდუქტებით ვაჭრობაში ყოფილ საბჭოთა სივრცეში 10%-ს შეადგენდა, ხოლო ექსპორტის დირებულება 1,7-ჯერ აღემატებოდა სხვა დანარჩენი რესპუბლიკებით საკვები პროდუქტების იმპორტის საერთო დირებულებას.

1997 წლის მაჩვენებლებით კი, 1990 წლის დონესთან შედარებით, იწარმოვა დაფასოებული ხია – 6,1%, კონიაკი (ბრენდი) – 29,4%, მინერალური წყლები – 32,2%, ყვრძნის დვინო – 13,5%, ხილ-ბოსტნეულის კონსერვები – 0,46%, მცენარეული ზეთი – 5,8%.

სასურსათო უზრუნველყოფის ოვალსაზრისით, საგრძნობლად შემცირდა ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული პროდუქციის მოცულობა. მაგალითად, ხორცეულის პროდუქცია ერთ სულზე 1990 წელს დაფიქსირებული 5,7 კგ-დან 1997 წელს შემცირდა 0,01 კგ-მდე, რაის ნაწარმი – 4,5 კგ-დან 0,7 კგ-მდე, ხოლო ხილ-ბოსტნეულის კონსერვები – 136 პირობითი ქილოდან 5,6 პირობით ქილომდე.

განსაკუთრებით დატნიდა ვითარება საკონსერვო მრეწველობაში, რომელსაც შეუძლია გარკვეულად სტრატეგიული ფუნქციაც კი იკისროს არა მხოლოდ ქვეყნის სასურსათო ბალანსის შევსებაში, არამედ საექსპორტო პროდუქციის წარმოებაშიც. ნიშანდობლივია, რომ დარგის წლიური სიმძლავრე შეადგენს 800 მილიონ პირობითი ქილას, ხოლო ისტორიული ტრადიციები და ხელსაყრელი კლიმატი, კოლოფიური სუფთა გარემო და გეოგრაფიული მდებარეობა ხელსაყრელ პირობებს ქმნის ექსპორტზე ორიენტირებული პროდუქციის წარმოებისათვის

საგულისხმოა, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პიკურ პერიოდში – 1988 წელს – გადამუშავდა 160 ათასი ტონა თესლოვანი და 94 ათასი ტონა კურკოვანი ხილი, 98 ათასი ტონა ციტრუსი, 79 ათასი ტონა პომიდორი, 16 ათასი ტონა ყურძნები, 12 ათასი ტონა ბოსტნეული და სულ იწარმოვა 760 მდნ პირობითი ქილა საკონსერვო პროდუქცია.

საკითხის შესწავლით ირკვევა, რომ ბოლო პერიოდში საქართველოს საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვაში გამოცოცხლება შეინიშნება. 1995-2007 წლებში კი ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვანად გაიზარდა. კერძოდ, 1995 წელს იგი 537,8 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, 2000 წელს შესაბამისად – 1032,2, ხოლო 2007 წელს – 3357,2 მლნ აშშ დოლარს. აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნულ პერიოდში ექსპორტი საკმაოდ მაღალი ტემპით იზრდება. მაგალითად, 1995 წელს ექსპორტირებული იყო 161,5 მლნ აშშ დოლარის პროდუქცია, 2000 წელს – 322,8, ხოლო 2007 წელს – 866,2 მლნ აშშ დოლარის პროდუქცია, ანუ, 1995 წელთან შედარებით, 2007 წელს ექსპორტის მოცულობა გაიზარდა 2,7-ჯერ, მაშინ, როდესაც იმპორტი 1995 წელს 396,3 მლნ აშშ დოლარიდან იზრდება 2000 წელს 709,4, ხოლო 2007 წელს – 2490,9 მლნ აშშ დოლარამდე, ანუ იმპორტი აღნიშნულ პერიოდში გაიზარდა 6,3-ჯერ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბალანსი უარყოფითია და იგი ყოველწლიურად იზრდება. მაგალითად, თუ 1995 წელს საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდო შეადგენდა 234,7 მლნ აშშ დოლარს, იგი 2000 წელს გაიზარდა 386,6, ხოლო 2007 წელს 1624,7 მლნ აშშ დოლარამდე, ჩვენი აზრით, აღნიშნულ მდგრმარეობას მნიშვნელოვანდ შეუწყო ხელი ქვეყანაში განხორციელებულმა ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის გამყარების პოლიტიკამ, რის შედეგად ექსპორტი ნაკლებად ხელსაყრელია, ხოლო იმპორტი უფრო ხელსაყრელი გახდა.

მთლიანად სასურსათო პროდუქციის საწარმოო კომპლექსი შრომისუნარიანი მოსახლეობის საშუალოდ 42%-ს ასაქმებდა. დღეისათვის კი კომპლექსის როლი დასაქმების საქმეში მნიშვნელოვნად შემცირებულია.

არსებული მდგომარეობის გამომწვევი ძირითადი მიზეზებია: დიდი სიმძლავრის ძველი გადამამუშავებელი პროფილის საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილის პრივატიზაციის შემდგომი პერიოდისათვის აუცილებელი ფინანსური რესურსების უქონლობა; მომხმარებელთა მიერ (სახელმწიფო დაწესებულებათა ჩათვლით) პროდუქციის ღირებულებათა გადაუხდელობა და ვალების ზრდა; ტრადიციული ბაზრების დაკარგვა, რაც გავლენას ახდენს როგორც მოთხოვნილებაზე, ასევე მიწოდებაზე; მარკეტინგული საქმიანობისა და მენეჯმენტის სასურველზე დაბალი დონე; საკრედიტო რესურსების მეწარმეთა მხრივ ხელმიუწვდომლობა მაღალი საპროცენტო განაკვეთის გამო; წარმოების საშუალებებითა და სხვა რესურსებით მომარაგების არასტაბილურობა მანქანა-დანადგარების, ხელდეულისა და გასაღების ქსელის ჩათვლით; ენერგორესურსთა უყაირაოთ რეჟიმით ხარჯვა და მათი თვითდირებულების ზრდა; ადგილობრივი წარმოების მაღალი ხარისხის ტარა-შესაფუთი მასალების უქონლობა.

დღეისათვის ეკონომიკურ საქმიანობას განაგრძობს გადამამუშავებელ საწარმოთა მხოლოდ 5-10%, ისიც არასრული დატვირთვით. აშკარად უცხოურ ინვესტიციათა საჭიროება. ჯერჯერობით აღნიშნულის განხორციელება მხოლოდ დანინის, ჩაის, წყლისა და რძის პროდუქტების წარმოებაში მოხერხდა, თუმცა შეზღუდული მოცულობებით.

სურსათის გადამამუშავებელ საწარმოთა რესტრუქტურიზაცია შეიდიო წლის წინ დაიწყო. იგი მოიცავდა ზოგიერთ საწარმოთა გალების რესტრუქტურიზებას, საწარმოთა პირობების შესაბამისად მათი პროფილის შეცვლას, დეცენტრალიზებას, დაახლოებით 1600 ყოფილი კოლექტიური და სახელმწიფო მეურნეობა გარდაიქმნა სხვადასხვა ფორმის 900 ახალ საწარმოდ. 353 სასოფლო-სამურნეო საწარმო ლიკვიდირებულ იქნა. მიუხედავად აღნიშნული ცვლილებებისა, მაინც არ ჩამოყალიბდა ახალი საბაზრო პირობებისათვის საჭირო ვითარება. ის, რაც დაწებულია, ვერ გრძელდება ფინანსური სახსრების უქონლობის გამო. სათანადო დაფინანსების პირობებში სპეციალისტების გაანგარიშებით, საწარმოთა რესტრუქტურიზაციის პირველი ეტაპისათვის, სავარაუდოდ, 2-3 წელია საჭირო. მეორე ეტაპისათვის – 5-7 წელი, როდესაც მოსალოდნებლი იქნება აღნიშნულ საწარმოთა მიერ საპუთარ რესტრუქტურიზაციაში წვლილის შეტანა. სექტორის აღორძინება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა როგორც ზოგადად საქართველოს ეკონომიკური ზრდის, ისე კონკრეტულად სასურსათო უზრუნველყოფისათვის.

თუ გავითვალისწინებთ წარმოებისა და გადამუშავების სფეროებს შორის ორგანული კავშირის აუცილებლობას, დიდ მნიშვნელობას იძენს გადამამუშავებელ საწარმოთა დისლოგაცია. ამჟამად სასოფლო-სამურნეო პროდუქციის პირველად წარმოებასა და გადამამუშავებელ მრეწველობას შორის კ.წ. „ავშორის ეფექტი“ ძალზე სუსტია. წარმოებასა და გადამამუშავებელ მრეწველობას შორის ფინანსური, მარკეტინგული და გასაღების კომერციული ქსელის არსებობა სასიცოცხლოა საწარმო კავშირების გაძლიერებისათვის როგორც ვერტიკალურად, ისევე პრიზორგანიზაციად.

აგროსამრეწველობა კომპლექსის რესტრუქტურიზაციისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ახალი საწარმოების გეოგრაფიული მდგრადებლობის მნიშვნელობა, სიახლოეს საწყის (მეურნეობა) და საბოლოო (მომხმარებელი) ბაზრებთან. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება, თუ გავითვალისწინებთ ტრანსპორტისათვის გადამამუშავებების არსებულ სირთულეებს. ადგილმდებარების თვალსაზრისით, ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს პირველადი წარმოების რეგიონული პრიორიტეტები.

კურადღება უნდა მიექცეს ორ ასპექტს, როგორც სექტორის რესტრუქტურიზაციის სტრატეგიის მნიშვნელოვან ნაწილებს. პირველი: მენეჯმენტის შეზღუდული შესაძლებლობების გამო შეიძლება, საწყის ეტაპზე, საწარმოთა გარკვეული რაოდენობის ამოქმედება გახდეს საჭირო. საჭიროა შესაბამისი სამუშავებების მდგრადი განვითარების მნიშვნელობის გაზრდა, რაოდენობის გაზრდა და გადამამუშავებების გაძლიერებისათვის როგორც ვერტიკალურად, ისევე პრიზორგანიზაციად.

ოს ჩატარება პროდუქციის ხარისხისა და მისი თვითდირებულების ისეთი საფუძვლის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც უზრუნველყოფდა საერთაშორისო ბაზარზე კონკურენციას არიანობას. საწარმოთა მართვის ცოდნის პრობლემა შეიძლება გადაიჭრას ერთობლივ საწარმოთა შექმნით, რაც ასევე ხელს შეუწყობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. სწორედ ამაზე მიაიშნებს არსებულ საწარმოთა არასრული დატვირთვით მუშაობა. თუმცა, პრეზიდენტის სათანადო ბრძანებულების თანახმად, საწარმოთა მხოლოდ მოქმედ ნაწილზე ხდება გადასახადის გადახდა. მეორე: სურსათის გადამამუშავებელი მრეწველობა არ უნდა მოქმედებდეს მხოლოდ საბაზო მოთხოვნილების შესაბამისად, უნდა ხდებოდეს ისეთი აუცილებელი პროდუქციის წარმოებაც (ბაგშვების კვება, ორგანული სასუქები), რომელზე მოთხოვნილებაც შედარებით დაბალია მოსახლეობის შემოსავლების სიმცირის გამო.

მოკლევადიან პერსპექტივაში აღნიშნული სუქტორის რესტრუქტურიზაციის სტრატეგიის ერთ-ერთ ნაწილად მიჩნეული უნდა იქნეს მისი დეტალური შესწავლა (ინვენტარიზაცია), სტატისტიკური მონაცემების განახლება. თითოეულ რეგიონში არსებულ საწარმოთა ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა მომზადდეს სექტორის განვითარების სტრატეგია (ცნობარი), რომელშიც გათვალისწინებული იქნება პროდუქციაზე არსებული მოთხოვნილება, ახალი ბაზრების მოძიების შესაძლებლობები და იმპორტშემზღვედავი დონისძიებები. სასურველია, დამუშავდეს სასურსათო უსაფრთხოების რეგიონული, ხოლო ქვეყნის მასშტაბით – ქვედარგორამები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., სრულყოფილი საბაზო ეკონომიკა ჯერჯერობით არ გვაქს, გაზ. „ბანკები და ფინანსები”, 12 აგვისტო, 2003.
2. ქავთარაძე თ. აგრარული რეფორმა საბაზო ეკონომიკის პირობებში და საქართველო. „მეცნიერება”, თბილისი, 2003.
3. კუნძულია თ., საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები. „მეცნიერება”, თბილისი, 1997
4. საქართველოს სოფლის მეურნეობა. სტატისტიკური კრებული 2007, თბილისი, 2008.

*Tengiz Kavtaradze
Academic Doctor of Economics*

PRODUCTION OF COMMODITIES AND FOOD SAFETY

Summary

The article pays a certain attention to the necessity of organic links between production and processing spheres. Are expressed some opinions to strengthen financial, marketing, commercial net of realization and prduction links in vertical and horizontal context.

**მათა გაპანაძე
ახორციელებული პროცესორი**

საქართველოს აგრარული სექტორი პრიზისის პირობებში

რეალურ და ფინანსურ სექტორებს შორის არსებულ არასასიაქთო უპტკავ შირს მძიმე დანაკარგები მოაქვს უმრავლესი ქვეყნების ეროვნული მეურნეობებისთვის. ფინანსურმა კრიზისმა თითქმის უველგან მკვეთრად შემცირა აქტივების დირექტულება, დააქვეითა მოსახლეობის კეთილდღეობა და სამომხმარებლო მოთხოვნა. მზარდი გაურკველობის ფონზე ექსპერტები ვარაუდობენ, რომ წარმოების მოცულობა განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში წელს 2%-ით შემცირდება, რაც პირველად მოხდება მთელ ომის შემდგომ პერიოდში.

იმ პირობებში, როცა პროგნოზები დღითიდღე უარესდება, განვითარებული ქვეყნების ცენტრალური ბანკები გაბედულ ად ამცირებენ საპროცენტო განაკვეთებს და ამით ცდილობენ კრედიტის ნაკადის გაძლიერებას; სხვა ქვეყნებშიც შეძლებისადაგვარად დგამენ ნაბიჯებს ბაზრის ლიკვიდურობის ამაღლების მიმართ ულ გბით. დაქვეითების შესაკავებლად არაერთი ქვეყნის მთავრობამ გამოაცხადა ისეთი საგადასახადო-საბიუჯეტო ღონისძიებების შემოღება, რომლებმაც მათი ეკონომიკა უნდა გააძლიეროს. კერძოდ, ოცთა ჯგუფის ქვეყნებში საგადასახადო-საბიუჯეტო სტიმულებმა შპპ-ის 1,5% უნდა შეადგინოს. ამავე დროს, განვითარებული ქვეყნების ბიუჯეტების სალდო, პროგნოზის მიხედვით, 2009 წ. 3,25 პროცენტული პუნქტით გაუარესდება [1].

ოცთა ჯგუფის მიერ მიღებულ ანტიკრიზისულ ღონისძიებებს მხარი დაუჭირა აზიაწყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის ფორუმის მონაწილე 21-მა ქვეყანამ, რომელთა ლიდერებმა გამოთქვეს ვარაუდი, რომ მსოფლიო ფინანსური კრიზისი წელიწადნახევარში იქნება დაძლეული.

ვარაუდებსა და პროგნოზებს ახლა ბეჭრი გამოოქვამს, მაგრამ საქართველოსთვის ისედაც მეტად მძიმე და რთულ დროს ჩვენთვის უველაზე უფრო საუკრადღებო და საგულისხმო უნდა იყოს ავტორიტეტული ქართველი მეცნიერების, სპეციალისტებისა და პიროვნებების შეფასებები და მოსაზრებები მთელი მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების ტენდენციებსა და ჩვენი ქვეყნის პერსპექტივებზე “იმ ეპოქაში, რომელშიც ფული ბატონობს” [2].

გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა დომინოს პრინციპი” აამოქმედა, რომლის ძალა ჯერ კიდევ ბოლომდე არაა გამოვლენილი. გავრცელდა და მკიოდღება მოსაზრება, რომ მსოფლიო ეკონომიკის უველა მირითადი ტენდენცია ასე თუ ისე უკავშირდება აგრარულ სფეროს. ექსპერტთა საკმაოდ დიდი ნაწილი დარწმუნებულია, რომ უახლოეს მომავალში ჩვენს პლანეტაზე სწორედ სოფლის მეურნეობა იქნება ეკონომიკის წამყვანი დარგი, მისი რენტაბელობა კი მკეთრად ამაღლდება. ამის ნიშნებს ბეჭრი რუსეთისა და უკრაინის მაგალითზე ხედავს და მიიჩნევს, რომ აქ ახლა აგროსამრეწველო კომპლექსი წინ უსწრებს ნავთობისა და გაზის მრეწველობას. მას ისინი უბრალო მიზეზით ხენიან: უკვე აშკარად შეინიშნება სურსათის დეფიციტი. გაეროს სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემებით, მაგალითად, ამ ბოლო ხანს მარცვლეულის მარაგები უველაზე მიზერული იყო მთელი ბოლო 25 წლის მანძილზე. მისი წარმოება თითქმის 17 მლნ ტონით ჩამორჩებოდა მოხმარებისათვის საჭირო ოდენობას [3]. როგორც ვხედავთ, მსოფლიოში პირველად გაჩნდა მარცვლეულის გლობალური დეფიციტი, რომელიც, ალბათ, უოგელწლიურად მოიმატებს, არადა, პურის შემცვლელი დღემდე არავის მოუგონია. ამ ფონზე “მეტად სავალადო, მაგრამ ფაქტია, რომ უნიკალური ქართული ხორბალი სრული გაქრობის პირასა... ხოლო საქართველოში იმპორტირებული ხორბალი და პურის ფენილი, რომელიც მოხმარებული პროდუქციის 91%-ს შეადგენს, იმდენად დაბალი ხარისხისაა, რომ ჯანმრთელობისთვის საფრთხეს წარმოადგენს [2]”.

როგორც ცნობილია, ხორბლის გაძვირებამ თანდათან მიმდინარე გააძვირა ხორცი, რძე და პერცის. ამან მსოფლიო ეკონომიკის დისპალანსი წარმოშვა, ბიძგი მისცა ინფლაციას, მრავალ ქვეყანაში დასცა ცხოვრების დონე და კოლოსალური იპოთეკური კრიზისის ერთ-ერთი მიზეზიც გახდა [4].

მსოფლიო ბანკის პროგნოზით, ფასების მომატების გამო მიღიონ ბიამიანს ემუქრება შიმშილი. ეს დაუფარავად ითქვა სასურსათო კრიზისისადმი მიღინილ მადრიდის სამიტზე. როგორც ცნობილია, 2015 წლისათვის ნავრაუდევი იყო მოშიმშილეთა რაოდგნობის შემცირება, მაგრამ ეს ვარაუდი სულ უფრო სათუო ხდება [5].

ცხადია, მსოფლიო ექცეს ჩიხიდან გამოსავალს. რომში გამართულ სასურსათო სამიტზე წამყვანმა ქვეყნებმა შეთანხმებას მიაღწიეს სოფლის მეურნეობაში ინკუსტიციების ზრდის თაობაზე. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ინკუსტიციების მატებაზე გეზის აღება მსოფლიოში პირველად არ ხდება. ეს მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია იყო და განვითარებული სამრეწველო ქვეყნების სასურსათო დამოუკიდებლობის განმტკიცებას ემსახურებოდა. საქმე ისაა, რომ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის გასვლის შემდეგაც პრობლემამ კიდევ უფრო მეტი სიმწვავით იხინა თავი. ამის საპასუხოდ სოლიდური თანხებია გამოყოფილი, მათგან თითქმის 3 მლრდ დოლარი განვითარებადი ქვეყნების სოფლის მეურნეობის იდენტიფიკაციას უნდა მოხმარდეს. ამ ქვეყნების რიგში, ალბათ, საქართველოც უნდა ვივარაუდოთ. შექმნილი კონიუნქტურის ფონზე ჩვენი ხორბლის მოყვანაც რენტაბელური შეიძლება გახდეს, რომ აღარავერი ვთქვათ მაღალმოსავლიან და მაღალრენტაბელურ ტექნიკურ კულტურებზე. თუმცა, ხორბლის შემთხვევაში, რომელიც სასურსათო უსაფრთხოების თავი და თავია, რენტაბელობა უპირველესი კრიტერიუმი არ არის [6]. ჩვენ მოხერხებულად უნდა ვისარგებლოთ შექმნილი ვითარებით და ქვეყნის სასურსათო დამოუკიდებლობასა და უსაფრთხოების დავუდოთ სათავე. “მსხვილ ტრანსნაციონალურ კომპანიებს... სურთ საქართველოც თავიანთი გავლენის სფეროდ და მათი სურსათის იმპორტზე დამოკიდებულ ქვეყნად გადაქციონ... ამ ტენდენციებს ჩვენ ჩვენი პოზიცია და ინტერესები უნდა დავუპირო სპიროთ” [2].

ზოგიერთი ექსპერტის მტკიცებით, მსოფლიო საკმარის საკვებს აწარმოებს, 80 მლნ ადამიანი კი მაინც არასრულ ფასოვნად იკვებება. საგულისხმოა, რომ შარშან აპრილში 60-მა ქვეყანამ დასხა სოფლის მეურნეობაში რადიკალური ცვლილებების გატარების საკითხი, რათა ბოლო მოელოს სურსათის დეფიციტის გაღრმავებას და მის გაძვირებას [7]. სოფლის მეურნეობა ის გენერატორი შეიძლება გახდეს, რომელიც მთელ ეკონომიკას გამოიყვანს გლობალური ფინანსური კრიზისიდან. ამ დარგში საქართველოს ნამდვილად აქვს თავისი კონკურენტული უპირატესობა. კერძოდ, ჩვენს დროში მკვეთრად იზრდება მოთხოვნილება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე და ყოველწლიურად ძირდება იგი. ეს ტენდენცია აფართოებს ასეთი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრების შესაძლებლობებს. “ამიტომაც, ვიდრე ჯერ კიდევ შემორჩენილია უნიკალური ქართული სასოფლო-სამეურნეო ჯიშები..., თითოეულმა ჩვენგანმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ეს საქმე რეალობად იქცეს [2].”

სოფლის მეურნეობის, ქართული სოფლის გადარჩნას ქართველი ეკონომისტები მჭიდროდ უკავშირებენ ქვეყნის მთელი ეკონომიკის განმტკიცებას. ამასთან დაკავშირებით სრულიად გასაგებია მათი სამართლიანი კრიტიკა ქვეყნის სოფლის მეურნეობის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის უქონლობაზე, რომლის პროექტი ჯერ არც კი განუხილავს ჩვენს პარლამენტსა და მთავრობას. ადსანიშნავია, რომ საქართველოს ყველა სტრატეგიული პროდუქტი შემოაქვს და მათ შორის სურსათიცაა, ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პრო-

დუქტიებით თვითუზრუნველყოფას კი ქვეყნა მხოლოდ 2015 წლისათვის შეძლებს [8].

